ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველოს ისტორია

ვახტანგ ბოლქვაძე

„სომხების დასი“ და კრწანისის ბრძოლა ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის მიხედვით

ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერი ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი ოლეგ ჯიბაშვილი

ხიჭაური
2019

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ვახტანგ ბოლქვაძე

20.07.2021



ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი

(1802-1869)

ანოტაცია

ქართველი და სომეხი ერები საუკუნეების მანძილზე ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობენ. თანაცხოვრების ხანგრძლივი პერიოდი არ ყოფილა ერთგვაროვანი – ისტორიამ შემოგვინახა როგორც ამ ორი ერის თანამშრომლობისა და მეგობრობის ამსახველი მომენტები, ისე მათ შორის მიმდინარე დაპირისპირებისა და მტრობის ფაქტები.

XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში კიდევ ერთხელ დაუპირისპირდა ერთმანეთს ქართველთა და სომეხთა პოლიტიკური ინტერესები და მისწრაფებები. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ მოვლენების გაშუქებას ისახავს მიზნად.

ნაშრომში, ერთის მხრივ, გაშუქებულია ქართლ-კახეთის სამეფოში XVIII საუკუნის შუა ხანებიდან მიმდინარე პროგრესული ძვრები, რამაც ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დაწინაურება გამოიწვია; მეორე მხრივ, გაანალიზებულია ის უარყოფითი როლი, რაც ქართლ-კახეთსა და მის მეზობლად მცხოვრებ სომეხთა გარკვეულმა წრეებმა ითამაშა ქართლ-კახეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში (განსაკუთრებით, რუსეთთან მიმართებაში). „სომხების დასის“ საქმიანობა, ძირითადად, ქართველი მწერლისა და ისტორიკოსის, ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის ნაშრომებზე დაყრდნობით არის შესწავლილი.

ნაშრომში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი, აგრეთვე, სომეხი ერის სასულიერო და პოლიტიკური სპექტრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის – კათოლიკოს სიმეონ ერევანცის პიროვნებას.

Annotation

For centuries Georgian and Armenian nations lived side by side. The period of living together was not homogeneous. Throughout the history we can find out the examples of cooperation of these two nations, also the facts of controversy and enmity.

In the end of XVIII century there was disagreement within political interests and views between Georgian and Armenian people. The aim of the pervious work is to review these events.

On the one hand this work represents the progress of Kartl-Kakheti kingdom in the middle of XVIII century This progress caused political and economical power of the country. On the other hand here is analized the negative role of Armenian distinct groups in Kartl-Kakheti political life (especially in reference to Russia). The activities of "Armenian Dasi" is studied according to the works of Georgian writer and historian Aleksandre-Jambakur Orbeliani.

In this work is also revied the personality of catholicos Simeon Erevantsi, who was one of the important representative of Armenian theological and political spectrum.

„სომხების დასი“ და კრწანისის ბრძოლა ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის მიხედვით

შინაარსი

შესავალი 7

თავი I - წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

§.1. წყაროები 11

§.2. ისტორიოგრაფია 13

თავი II - ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი - ცხოვრება და მოღვაწეობა

§.1. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი – მეფე ერეკლეს ღირსეული შთამომავალი 15

§.2. პირუთვნელი მემატიანე 21

თავი III – „სომხების დასი“ და კრწანისის ტრაგედია

§.1. აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა XVIII საუკუნის II ნახევარში ... 26

§.2. სომეხთა აპოსტოლური ეკლესიის კათოლიკოსი სიმეონ ერევანცი (1763-1780) და სომხური სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეა 34

§.3. კრწანისის ტრაგედია ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის მიხედვით 37

დასკვნები 49

გამოყენებული ლიტერატურა 51

შესავალი

ქართულ-სომხურ ურთიერთობებს საუკუნეების ისტორია აქვს როგორც სამხრეთ კავკასიაში, ასევე, უფრო ფართო ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. სომხები და ქართველები იმ იშვიათ ხალხებად ითვლებიან, რომლებსაც ხშირად საერთო ხვედრი აერთიანებდათ. სხვა ფაქტორებთან ერთად, ეს სიტუაცია განაპირობა პოლიტიკურმა, კულტურულმა და სოციალურმა დინამიკამ და გამოწვევებმა. ორი ერის კოლექტიური მეხსიერება ასახულია არა მხოლოდ ქართულ და სომხურ ისტორიოგრაფიაში, არამედ, ასევე, ბერძნულ-რომაულ, სპარსულ, მოგვიანებით კი თურქულ, რუსულენოვან და სხვა ისტორიულ წყაროებში.

ქართველთა და სომეხთა წინაპრები ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე ყოფილან მეზობლები. თავდაპირველად სომხეთს მცირე ტერიტორია ეკავა და მხოლოდ მოგვიანებით გაფართოებულა. სტრაბონის ცნობაში იხსენიება სომხური სამეფოების შექმნა ანტიოქოს დიდის სარდლების – „არტაქსიასა და ზარიადრეს მიერ, რაც ძვ.წ. 190 წ. მოხდა. ამის შემდეგ დაუპყრიათ სომხურ სამეფოებს მეზობლების მიწა-წყალი, მათ შორის იბერებისაგან – პარიადრის მთის კალთები, ხორძენე და გოგარენე ... გოგარენეში (სომხური წყაროების "გუგარქი") ისტორიული ქვემო ქართლი იგულისხმება; ხორძენე მის დასავლეთით მდებარეობდა და მოიცავდა ისტორიული ზემო ქართლის (მესხეთის) მნიშვნელოვან ნაწილს, ტაოს ჩათვლით. რაც შეეხება პარიადრის მთიანეთს, თითქმის ყველა მკვლევარი მას მოგვიანო პარხალს უკავშირებს ... პარიადრის მთიანეთი გულისხმობს ჭოროხის ზემო დინებას და მოიცავს, ძირითადად, ისტორიული სპერის ოლქს" **(საქართველოს ისტორია, 2012:168).** შემდეგში საქართველო არა მხოლოდ იბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს, არამედ, პერიოდულად, თავად სომხეთის დიდ ნაწილზე ამყარებს თავის გავლენას.

პოლიტიკური ჰეგემონობისათვის ბრძოლას მოგვიანებით რელიგიური უთანხმოებაც დაერთო, რომელიც VI საუკუნეში ქართველთა და სომეხთა შორის საეკლესიო განხეთქილებით დასრულდა. ვინაიდან ეკლესიას მნიშვნელოვანი იდეოლოგიური დანიშნულება აქვს, ამ გარემოებამაც განსაზღვრა მომავალში ქართულ-სომხური ურთიერთობების ხასიათი, თუმცა თავიდან ამ განხეთქილებას პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად. ირანი კარგად იყენებდა სომეხთა

მონოფიზიტობას და თავისი გავლენის ფარგლებში მოქცეულ დიოფიზიტ ქართულ მოსახლეობას სომხური ეკლესიის საშუალებით გადაგვარებას უქადდა.

ქართლის კათოლიკოს კირიონ I-ის მიერ წამოწყებულმა, რელიგიური ექსპანსიის წინააღმდეგ მიმართულმა, „სომხურენოვანი წირვა-ლოცვისაგან გათავისუფლების მძლავრმა ხმამ, ექო და გამოძახილი ჰპოვა“ სომეხთაგან მიმძლავრებულ ქართველთა შორის. „ამ ხმამ გააღვიძა იქამდე თითქოსდა ჩაძინებული სამხრეთ ტაოს, ბასიანის, ბაგრევანდის, შირაკის, კარინისა თუ ვანანდის ქართველობა. ისინი, ზოგნი ძალზე ღრმად არმენიზებულები, ნაწილი კი ნაკლებად, იბრუნებდნენ ქართულენოვან ღვთისმსახურებას“, მასთან ერთად კი ეროვნულ იდენტობასა და ცნობიერებას **(ჯაფარიძე, 2014:13).**

ბრძოლა სომხური ეკლესიისაგან გასათავისუფლებლად დიდხანს გაგრძელდა და „ჩანს დასრულდა დიდი ქართული საეკლესიო კრებით 780 წელს, რომელმაც დააკანონა აქაური ქართველობის სომხური ეკლესიისაგან გათავისუფლება. ეს იმდენად დიდ კრებად იქნა მიჩნეული, რომ მისი მოწვევის თარიღი ჩაითვალა ქართული წელთაღრიცხვის I წლად“ **(ჯაფარიძე, 2014:14).**

ირანის მეთოდები შემდგომში რუსეთმა გამოიყენა. მაშინ, როდესაც იგი საქართველოში დამკვიდრებას ცდილობდა, მისი პოლიტიკის ერთ-ერთი ეფექტური ხერხი იყო ქართველ-სომეხთა შორის შუღლის ჩამოგდება და საქართველოს დემოგრაფიული ათვისებისათვის სომხების გამოყენება.

სომეხთა შემოხიზვნა საქართველოში უძველესი დროიდან ხდებოდა, მაგრამ ამ მხრივ გამორჩეულია XIX ს. და XX ს-ის დასაწყისი. რუსეთის იმპერიის მესვეურებმა გადაწყვიტეს მოსახლეობის ეთნიკური აჭრელება და ამის შედეგად საქართველოში სომხური მოსახლეობა მეტისმეტად მომრავლდა. როგორც იმდროინდელი ქართველი მოღვაწეები ამბობდნენ, რუსეთმა საქართველოს შემოუსია სომხები. სწორედ ამ პერიოდში გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძემ გახმაურებული თხზულება „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“. საბჭოთა პერიოდში ამ თხზულებას სახელი შეუცვალეს და იგი დღეს „ქვათა ღაღადის“ სახელითაა ცნობილი. ილია გულისტკივილით აღნიშნავს, რომ სომეხთა გარკვეული წრეები, „სიტყვითა და კალმით ქვეყანას ეფიცებიან, ვითომც კავკასიის ქედს აქეთ ტიგრისა და ეფრატის სათავეებამდე, თითქმის შავის ზღვიდამ კასპიის ზვღვამდე, ეგრეთ წოდებული

არმენია (ვითომც სომხეთი) ყოფილა ათადამ-ბაბადამ დღევანდლამდე, და თუ სადმე ვიღაც "ვრაცები" ყრილან – ერთი ათიოდე ბოსლის ადგილი თუ სჭერიათ და ისიც თითქმის სომეხთა მოწყალებით" **(ჭავჭავაძე, 2007:178).**

აღნიშნულ პერიოდში რუსულ-სომხური ტანდემი შემთხვევით არ გაჩენილა.

XVIII ს.-ის უკანასკნელ მეოთხედში, როცა რუსეთის იმპერია მეთოდურად ამზადებდა ქართლ-კახეთის სამეფოს უმტკივნეულო ანექსიისათვის, სომეხთა გარკვეული წრეები სრულ მზადყოფნას გამოხატავდნენ რუსეთის სამსახურში ყოფნისა და თავს არ იზოგავდნენ ჩრდილოეთიდან მოსული დირექტივების შესასრულებლად. რა თქმა უნდა, ეს უანგაროდ არ კეთდებოდა. სომეხთა აღნიშნულ წრეებს რუსეთთან კავშირში სომხური სახელმწიფოებრიობის აღდგენა სურდათ, რაც, სამწუხაროდ, ქართლ-კახეთის სამეფოს დაცემის ხარჯზე უნდა განხორციელებულიყო. ერეკლე მეფის შვილიშვილი, თეკლა ბატონიშვილის ვაჟი, მწერალი და ისტორიკოსი ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი თავის ისტორიულ წერილებში დაწვრილებით მოგვითხრობს ამ ანტიქართული შეთქმულების სავალალო შედეგებზე.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ქართულ-სომხურ ურთიერთობებში ისტორიულადაც ხშირი იყო დადებითი მომენტები და ეს ტენდენცია, მეტ-ნაკლებად, დღესაც გრძელდება. აი რას წერს პოლიტოლოგი გიორგი თარხან-მოურავი:

„ისტორიამ და გეოგრაფიამ სომხეთსა და საქართველოს ერთმანეთის მეზობლობა და ვეება იმპერიათა შორის რთული არსებობა არგუნა. მათი ურთიერთობა ყოველთვის როდი იყო უღრუბლო, მაგრამ მაინც მეტწილად ხასიათდებოდა სიახლოვისა და თანადგომის სულისკვეთებით.

დღესაც, მიუხედავად ზოგიერთი ფაქტორისა, რომელიც ამ ორ ქვეყანას საპირისპირო მიმართულებით უბიძგებს, მათი ურთიერთობები არსებითად კარგია. გარდა კულტურული სიახლოვის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხანგრძლივი ტრადიციისა, ამგვარ სულისკვეთებას განაპირობებს ასევე ჯანსაღი პოლიტიკური პრაგმატიზმი და გრძელვადიანი გეოპოლიტიკური მოსაზრებები, რომლებიც მიუხედავად დამაპირისპირებელი გარე ძალებისა, ხელს უწყობს ორი ხალხის მეგობრობასა და პარტნიორობას" **(თარხან-მოურავი, 2017).** გვინდა ჩვენც იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალში ორ მეზობელ ერს შორის დადებითი ხასიათის

ურთიერთობები მართლაც მეტი იქნება და საერთო ძალისხმევით გამოსწორდება წარსულის შეცდომები

თემის აქტუალობა. საკვლევი თემა ნამდვილად აქტუალურია. XVIII საუკუნის II ნახევარში დატრიალებულმა მოვლენებმა საქართველოს მომავალი ბედი განსაზღვრა. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის მიხედვით, მიმდინარე პროცესებს ქართველებისათვის არასასურველი მიმართულება ქართლ-კახეთში მოქმედი „სომეხთა დასის“ მოქმედებებმაც მისცა. ეს მომენტები საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს, რადგან წარსულში დაშვებული შეცდომები სიღრმისეულად იქნეს გააზრებული. სომხებსა და ქართველებს ხანგრძლივი თანაცხოვრების მანძილზე, საკმაოდ რთული და არაერთგვაროვანი ურთიერთობები გააჩნიათ, რაც კარგად შესასწავლია და გასათვალისწინებელი. მიუხედავად იმისა, რომ სომხების ბედი არაერთხელ ყოფილა დამოკიდებული ქართველთა მხრიდან გაწვდილ დახმარების ხელზე, მათ მაინც ბევრჯერ უთამაშიათ უარყოფითი როლი ჩვენი ერის ცხოვრებაში. ამის საჩვენებლად შორს რომ არ წავიდეთ წარსულის სიღრმეში, უახლესი ისტორიიდან აფხაზეთის ომის მაგალითიც კმარა. ამდენად, ვფიქრობთ, რომ ქართულ-სომხური ურთიერთობების შესწავლა მის ყველა ეტაპზე დღესაც აქტუალურია და ფრიად საჭიროც.

კვლევის მიზნები და ამოცანები. ნაშრომის მიზანია სამეცნიერო ლიტერატურისა და საისტორიო წყაროების, ძირითადად, ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის ისტორიული წერილების, ობიექტური ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, გავაშუქოთ XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში სომეხთა გარკვეული წრეების მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს მიმართ განხორციელებული ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების არსი. აგრეთვე, გავაანალიზოთ მათი ანტიქართული განწყობის მიზეზები და შორს მიმავალი გეგმების საფუძვლები.

ნაშრომის სრუქტურა და მოცულობა. წარმოდგენილი ნაშრომი – „სომხების დასი“ და კრწანისის ბრძოლა ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის მიხედვით“ – შედგება შესავლის, შვიდ პარაგრაფად გაყოფილი სამი თავისა და დასკვნისაგან, თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის სია. ნაშრომი მოიცავს სათანადო სტანდატრებით შესრულებულ 54 გვერდს.

თავი I. წყაროები და ისტორიოგრაფია

§. 1. წყაროები

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ რამდენიმე საისტორიო წყარო, რომელთა შორის, უმრავლესობა ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ არის შედგენილი თანამედროვეთა ნაამბობებზე დაყრდნობით.

აღნიშნულ წყაროებს შორის პირველ რიგში დავასახელებდით ალექსანდრე ჯ.-ორბელიანის მიერ 1895 წელს გამოცემულ წიგნს „აღა-მაჰმად ხანის შემოსვლა ქალაქ ტფილისში“. ეს არის უმთავრესი წყარო, რომელზე დაყრდნობითაც დაიწერა ნაშრომის ძირითადი ნაწილი. წიგნში ზედმიწევნით ობიექტურად და დაწვრილებითაა გაშუქებული კრწანისის ტრაგედია, წინა საომარი სამზადისი, ბრძოლის გეგმა, მეომართა განლაგება, გარკვეული პიროვნებებისა და დაჯგუფებების ღალატი, არსებული დესტრუქციული ძალების მოქმედებათა მიზნები და ქვეყნის სიყვარულით გამსჭვალული კაცის, მეფე ერეკლე მეორის ტრაგიკული მარცხი.

არსებობს ჯამბაკურ-ორბელიანის სხვა წერილებიც, რომლებიც როგორც წყარო, ისე გამოვიყენეთ ჩვენს ნაშრომში. ეს წერილები შეკრიბა და მკითხველს მიაწოდა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა და ფილოლოგმა სარგის კაკაბაძემ. თითოეული წერილი შეიცავს უნიკალურ ინფორმაციასა და ფაქტებს, რომლებიც ორიგინალური კუთხით წარმოაჩენენ XVIII საუკუნის II ნახევრის მოვლენებს.

საინტერესო ფაქტებს შეიცავს ს. კაკაბაძის მიერ გამოცემული „მოგონებები ალექსანდრე ორბელიანისა თავის მამის ვახტანგ ორბელიანის შესახებ“ (ტფილისი, 1914 წ.). წერილში, სხვათა შორის, საუბარია თუ როგორ შეიყვანეს შეცდომაში მეფე ერეკლეს მტრებმა ვახტანგ ჯამბაკურ-ორბელიანი და როგორ გამოთიშეს საგარეჯოელები კრწანისის ომში მონაწილეობისაგან.

ასევე, საინტერესო მასალას გვაწვდის ა. ჯამბაკურ-ორბელიანი წერილში „დაღესტნიდან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები“ (გამოსცა ს.კაკაბაძემ, ტფილისი, 1914 წ.). მასში საუბარია თუ როგორ ცდილობდა ერეკლე მეფე ჭარ-ბელაქნელი „ლეკების“ შემორიგებას, აგრეთვე, გაშუქებულია ერეკლეს შინაური მტრების საქმიანობა და ის ფაქტიც, რომ „სომხების ორქივატერმა იოსებ არღუთაშვილმა

(არღუთიანი) დაღუპა საქართველო“.

ერეკლე მეფისა და ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ მოქმედი შინა თუ საგარეო ფარული მტერების შესახებ განსაკუთრებით ვრცლად არის საუბარი ა. ჯამბაკურ-ორბელიანის წერილში „მეფის ირაკლის მეორის ცოცოტა ანბები, ანუ ზოგიერთი მაშინდელი პირნი“. წერილი ს. კაკაბაძემ გამოაქვეყნა თავის კრებულში „წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის“ (წ. I, ტფილისი, 1914). წერილში ნათქვამია, რომ „ორქივატერ იოსებ არღუთაშვილს ჰყუანდნენ სომხები და იმათით მოქმედებდა, საქართველო დაეღუპა“. საინტერესოა, რომ ამ დასის მნიშვნელოვან ფიგურებს ა. ჯამბაკურ-ორბელიანი პირობნულად ასახელებს, მათ შორის დარჩო ბებუთაშვილსა და არტემ არარაცკის (არუთინ არარატიანცი), რომელთა სინდისზეა უკან წასული აღა-მაჰმად-ხანის შემობრუნება.

ამავე კრებულში – „წერილები და მასალები საქართელოს ისტორიისათვის“ – ს.კაკაბაძე წარმოგვიდგენს, ასევე, ერეკლე მეფის მიერ თეკლა ბატონიშვილისადმი მიწერილ სამ წერილს. ამ წერილებიდან შეგვიძლია შევიქმნათ გარკვეული წარმოდგენა „თეკლა ბიჭზე“ და მის მიმართ ერეკლე მეფის დიდ სიყვარულზე.

აღსანიშნავია, აგრეთვე, მკვლევარ აპოლონ თაბუაშვილის ნაშრომში – „რამდენიმე უცნობი დეტალი ირანისა და ქართლ-კახეთის სამეფოს 1795 წლის დაპირისპირების შესახებ“ (ჟურნ. „სპეკალი“, თბილისი, 2012 წ., №5), სრულად წარმოდგენილი ორი დოკუმენტი. დოკუმენტები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია მოძიებული. ისინი თვალნათლივ ადასტურებენ ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის ცნობებს იმის შესახებ, რომ ერეკლე მეორეს რეალურად შეეძლო ათობით ათასი მეომრის გამოყვანა და, შესაბამისად, 1795 წლის კრწანისის ბრძოლაში გამარჯვება.

§. 2. ისტორიოგრაფია

ერეკლე მეფის მოღვაწეობისა და კრწანისის ომის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა, შესაბამისად, იგი საკმაოდ მდიდარია აღნიშნულ თემატიკაზე შექმნილი ნაშრომებით. მუშაობის პროცესში ჩვენც გამოვიყენეთ მათი გარკვეული ნაწილი. მართალია, ჩვენი დაინტერესების საგანი ალექსადრე ჯამბაკურ-ორბელიანის წერილები და მისი თვალით დანახული მოვლენების გააზრება იყო, მაგრამ ეს გავაკეთეთ სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებთან შეჯერების საფუძველზე .

სომეხთა გარკვეული წრეების საქმიანობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის თანამედროვე პერიოდის ისტორიკოსი ვაჟა შუბითიძე. თავის ერთ-ერთ სტატიაში – „სომხების როლი ქართული სახელმწიფოს დაცემის საქმეში“, იგი, მრავალრიცხოვან არგუმენტებზე დაყრდნობით, ააშკარავებს ამ წრეების მიზნებს საქართველოსთან მიმართებაში, აჩვენებს როგორი მეთოდებით ცდილობდნენ ისინი საქართველოს ხარჯზე საკუთარი გეგმების რეალიზებას, ხაზს უსვამს აგრეთვე სიმეონ ერევანცის პიროვნებას და მის მისწრაფებებს.

ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ ნიკო ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხები“ (ტ. II, თბილისი, 1965; ტ. VI, თბილისი, 1973). აკადემიკოსი სიღრმისეულად აანალიზებს ჩვენთვის საინტერესო საკითხებს, მათ შორის ქართულ-რუსულ-სომხურ ურთიერთობებს.

საკმაოდ საყურადღებოა სიმეონ ქვარიანის ნაშრომი „ქართველი ერის ისტორია“, რომელიც 1919 წელს დაიბეჭდა ქუთაისში, ქართვლთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტამბაში. ნაშრომი მოიცავს XVIII-XIX საუკუნეების წერიოდს. წიგნში საუბარია სომხების როლზე ერეკლე მეფის დასუსტების საქმეში, ამ მიმართულებით სომეხთა გარკვეული წრეების თანამშრომლობაზე რუსეთთან და ამ თანამშრომლობის შედეგებზე საქართველოსთვის.

ვისარგებლეთ, აგრეთვე, „საქართველოს ისტორიის“ 1943, 2008 და 2012 წლების აკადემიური გამოცემებით, აგრეთვე „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ IV

ტომით (თბილისი, 1973). მათში ასახულია ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული აკადემიური აზრი ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე.

ქმედითი დახმარება გაგვიწია ჩვენი სამეცნიერო ხელმძღვანელის ო. ჯიბაშვილის სტატიებმა: „რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში ქართლ-კახეთის მონაწილეობის მიზანშეწონილობის საკითხისათვის“ (ბათუმი, 2009), „კრწანისის მოვლენები და „სომხური დასი“ (ბათუმი, 2013), „მკვლელობა, რომელმაც შეცვალა საქართველოს ბედი“ (თბილისი, 2016). მათში ფართოდ არის გამოყენებული ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის წერილები, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

ხელმძღვანელის მითითებითა და დახმარებით, გამოვიყენეთ, აგრეთვე, რუსულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა, როგორიცაა ერევანცის („Джамбр“, М, 1958.), იოანესიანის („Иосиф эмин“, Ереван, 1945), პოტტოს (Кавказская война в отдельных очерках, епизодах и биографиях, т. 3, СПб., 1886) შრომები და სხვ. ეს ნაშრომები დაგვეხმარა ცალკეული საკითხის უკეთ გაშუქებაში.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ, აგრეთვე, სხვა ავტორთა ნაშრომებიც, რომელთა მონაცემებიც მნიშვნელოვანი იყო ნაშრომის სრულყოფისათვის, მაგ.: ცინცაძე ი. („აღა-მაჰმადხანის თავდასხმა საქართველოზე“, თბილისი, 1969), ჭავჭავაძე ი. („თხზულებანი“, XV, თბილისი, 2007), ბერძნიშვილი მ. („მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის“, ტ. II, თბილისი, 1983), თაბუაშვილი ა. („ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია“, თბილისი, 2020), მორჩილაძე ა. („ქართულის რვეულები. XIX საუკუნის სურათები“, თბილისი, 2013), წოწკოლაური ავ. („საქართველოს ისტორია“, თბილისი, 2015) და სხვ.

ვისარგებლეთ, აგრეთვე, მრავალფეროვანი ინტერნეტ- და პრესის მასალებით, რომლებმაც შეავსო და გაამრავალფეროვნა სამაგისტრო ნაშრომი.

თავი II – ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი – ცხოვრება და მოღვაწეობა

§.1. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი – მეფე ერეკლეს ღირსეული შთამომავალი

ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი ცნობილი ფეოდალური გვარის წარმომადგენელია. იგი იყო შვილი თეკლა ბაგრატიონისა და ვახტანგ ჯამბაკურ-ორბელიანისა. თეკლასა და ვახტანგს სამი ვაჟი ჰყავდათ: ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგი. მათ შორის ალექსანდრე უფროსი იყო. ა. ორბელიანი 1802 წლის 24 მაისს დაიბადა (ძვ. სტილით) თბილისში, ერეკლე მეორის ოჯახში. მაშინ ა. ორბელიანის მშობლები ერეკლეს მეუღლის, დარეჯანის, სასახლეში ცხოვრობდნენ **(https://burusi.wordpress.com/2009/08/08/ალექსანდრე-ორბელიანი/).** ეს სასახლე თეკლა ბატონიშვილს მამამ, ერეკლე მეორემ აჩუქა **(მახობელშვილი, 2014).**

თანამედროვენი ა. ორბელიანს „პუპლიას" ეძახდნენ. ეს მეტსახელი მას გადაუკეთეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორის თ. ბუკრინსკის ერთი ფრაზისგან, რომლითაც მას პატარა ალექსანდრისთვის მიუმართავს: „შენ ხარ პატარა რომაული პუბლი" **(https://nobility.pro/ge/statia/70-orbeliani-aleksandre-vakhtangis-dze.html).**

მწერლის დედა, თეკლე ბატონიშვილი, ერეკლე მეფის უმცროსი ქალიშვილი იყო. იგი ბავშვობიდან გამოირჩეოდა თავისი გამჭრიახი გონებით და ფიზიკური მოქნილობით. შეიძლება ითქვას, რომ მას, როგორც ბიჭს, ისე ზრდიდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ცნობა არსებობს.

ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე წერს: „თეკლა დაიბადა 1776 წელს. თავისი სიმკვირცხლით და სიმარჯვით მშვენიერი თეკლა სასახლის წევრთა სათაყვანებელი იყო. ძლიერ უყვარდა ის აგრეთვე მამას მეფე ირაკლის, რომელმაც 1780 წელს 14 ოქტომბერს ხუმრობით 4 წლის თეკლას სიგელი უბოძა ამ შინაარსისა: გიბოძეთ ეს სიგელი შენ ჩვენს ქალს თეკლა ბიჭს. თუმცაა აქამდის შენ ყველასაგან ქალად იყავი ცნობილი, მაგრამ ამიერითგან გიწყალობებთ ბიჭის სახელს და ვუბრძანებთ ყველა შენს ძმებს და დებს ამიერიდან გიწოდონ თეკლა ბიჭი. ამ სიგელს ამტკიცებდნენ

კათალიკოსი ანტონი, ბიძა თეკლასი ძმა თეკლასი იულონ ბატონიშვილი“ **(კაკაბაძე, 1914-a: 133).** აქვე ს.კაკაბაძეს მოაქვს ერეკლე მეფის სამი წერილი ნორჩი თეკლა ბატონიშვილისადმი, რომლებიც უსაზღვრო მამაშვილური სიყვარულითაა გაჟღენთილი **(კაკაბაძე, 1914-a: 135-136).**

თავის მოქნილობასა და მხედრულ უნარ-ჩვევებს თეკლა ბატონიშვილი ხანდასმულ ასაკშიც ინარჩუნებდა. უკვე მოხუცებულს, სოლოლაკზე სეირნობის დროს, „ახალგაზრდები შეუჩნდებოდნენ ხოლმე ბებია თეკლას, ესროლე, ბატონიშვილო, ესროლეო. მოუტანდნენ თოფს და ერთს არ ააცდენდა, ჩამოყრიდა ხოლმე შაშვებს. ახალგაზრდა თეკლა კი იყო საკმაოდ ძალმოსილი და ჭკვიანი და მოდგმით პოლიტიკოსი“ **(მორჩილაძე, 2013:12).**

ალექსანდრეს მამა ვახტანგი ჯამბაკურ-ორბელიანების გავლენიან გვარს ეკუთვნოდა და ერეკლე მეორის სამეფო კარზე დაწინაურებული პირი იყო. ერთი პერიოდი საგარეჯოს სამოურავოსაც განაგებდა გარდაცვლილი სიძის ნაცვლად. იგი დაიღუპა კახეთის აჯანყების დროს, უფრო ზუსტად კი ერთ-ერთ აჯანყებულს იძულებით მოაკვლევინა თავი. ამას თავად ალექსანდრე გვიამბობს, თავის მოგონებნებში, სადაც აღწერილია ფეხმძიმე თეკლასა და ვახტანგის გამოთხოვება, ცრემლი, მწუხარება და პატრიოტი მამულიშვილის ტრაგიკული ამბავი.

ეს ამბავი ასე მომხდარა. როგორც ცნობილია, 1812 წელს კახელებმა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყეს. იმ დროს საქართველოში მთავარმართებლად იყო იტალიური წარმომავლობის მარკიზი – ფილიპე ოსიპის ძე პაულიჩი (1779-1849). „ვახტანგ ორბელიანი და სხვა თავადები დაიბარა პაულიჩმა და ზეწოლითა და ლიქნით, კახელების წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდა „ხელმწიფე იმპერატორის ერთგულებისთვის“. ბევრ ჯილდოსაც ჰპირდებოდა და ცბიერად ცოლ-შვილის მძევლობასაც ახსენებდა იქ მიწვეულ ქართველებს“ **(მახობელიშვილი, 2014).**

ერეკლე მეორის სიძე, პაულიჩთან ვიზიტის შემდეგ, გვიან დაბრუნდა სახლში. ფეხმძიმე თეკლე ბატონიშვილი მოუთმენლად ელოდა ქმარს, თან გამუდმებით შესცქეროდა ღვთისმშობლის ხატს. ალექსანდრე ამ მომენტისათვის 9 წლის იყო, არც მას ეძინა. ორბელიანმა ცოლს უამბო რაც ხდებოდა კახეთში. ისიც უთხრა, რომ რუსებთან ერთად აპირებდა კახელების წინააღმდეგ ბრძოლას და ძალზედ შეწუხებული იყო ამ ამბით. ვახტანგმა გაუმხილა, რომ არ შეეძლო სამშობლოსათვის

და კახელებისთვის ეღალატა, რომლებიც თავისუფლებისათვის იბრძოდნენ. ცოლმა კი ურჩია, რომ გაეკეთებინა სწორი არჩევანი მარადიული სახელისათვის. ვახტანგი შიშობდა, რომ ვეღარ ნახავდა ცოლ-შვილს ცოცხალს, რისთვისაც თეკლე ბატონიშვილი ატირდა, ორბელიანმაც ვერ მოითმინა და თვალს ცრემლი მოადგა. აბღავლდა პატარა ალექსანდეც **(მახობეშვილი, 2014).**

ბრძოლის მომენტში ვახტანგი ვერ გადავიდოდა რუსების მოწინააღმდეგეთა მხარეზე, რადგან მის მიერ გადადგმული ნაბიჯი იმპერიის ღალატად იქნებოდა მიჩნეული და მის ოჯახის დაღუპვის ფასად დაუჯდებოდა. ამიტომ, ბრძოლის დროს მან შეარჩია ერთი კახელი მეომარი, მიეჭრა და „თოფის წართმევა'' დაუპირა. კახელმა უთხრა, ძმაო, კარგი ვინმე ჩანხარ, ქართველი, თოფს ვერ მოგცემ, თავი დამანებე, ნუ მაიძულებ სროლას. ვახტანგი კიდევ მიეძალა და თან გულ-მკერდს უშვერდა. ასე იძალავა კარგა ხანს ვახტანგმა მანამ, სანამ მკერდში არ ასროლინა კახელ მეომარს. ვახტანგის მიერ გადადგმული ნაბიჯი იყო სამშობლოსა და ქართველებისთვის თავგანწირვა **(მახობეშვილი, 2014).**

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ თავი კი არ შეუკლავს იმ ერთი აჯანყებულისათის, არამედ ბრძოლაში დაიღუპა. თუმცა ალექსანდრე სხვას წერს და ეს მოსალოდნელიცაა. მწერლისთვის მთავარია, როგორ აღესრულა მამამისი: მოკვდა, როგორც ქვეყნის ორგული და მოღალატე თუ სამშობლოს სიყვარულს შესწირა თავი.

ა. ორბელიანი სანამ კეთილშობილთა სასწავლებელში დაიწყებდა სწავლას, მანამდე, ისევე, როგორც ვახტანგს, ხელმძღვანელობას უწევდა ორბელიანთა კარის მწიგნობარი, მღვდელი იოსებ ამირიძე და ქართული გრამატიკის კარგი მცოდნე იოანე ქართველიშვილი. ალექსანდრეს თქმით, მასზე ზეგავლენა მოახდინა გამზრდელმა ლომისახარმა, რომელმაც ბავშვობიდანვე ცარიზმის სიძულვილი ჩაუნერგა პატარა ყმაწვილს. აღსანიშნავია ისიც, რომ მას სრული სასკოლო განათლება არ მიუღია. ბატონიშვილა მალევე მიატოვა სკოლა და თვითგანათლებას მიჰყო ხელი **(https://burusi.wordpress.com/2009/08/08/ალექსანდრე-ორბელიანი/).**

1817 წლისათვის საკმაოდ ახალგაზრდა ალექსანდრე, დედის სურვილის თანახმად, შედის სამხედრო სამსახურში (კარაბინერთა მე-7 პოლკში). მალევე გადაიყვანეს იუნკრად პირველი ბატალიონის პირველ გრენადერთა როტაში. 1819 წელს დაჯილდოვდა პრაპორშჩიკის ჩინით. მომდევნო, 1820 წელს ალექსანდრე

მიყვება თავის ბატალიონს და მონაწილეობას იღებს იმერეთის აჯანყების ჩაქრობაში. მაგრამ ალ. ორბელიანს, როგორც მისი მოგონებებიდან ჩანს, სამხედრო კარიერა არ იზიდავდა. 1824 წელს ალექსანდრე ორბელიანმა სამხედრო სამსახურს ჩამოშორდა. მწერალი სამსახურიდან წამოსვლის ორ მიზეზს ასახელებს: „როდესაც რომ სამხედრო სამსახური დაუტევე, იყო 1824 წელიწადი, მაგრამ მე 1823-ის წლიდგან მაისის დამდეგიდანვე, აგრერიგად აღარ ვასრულებდი თანამდებობასა, ამისთუის რომ გული ამეყარა სამსახურზედ და ჯვარის დაწერასაც ვაპირებდი.“ მართლაც, 1823 წელს, დაქორწინდა დავით ბარათაშვილის ასულ ეკატერინეზე. 24 წლის ალექსანდრე მუშაობას იწყებს სახალხო მილიციაში და მონაწილეობას იღებს სპარსელების წინააღმდეგ წარმოებულ საომარ ოპერაციებში. 1828 წელს ის აირჩიეს თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლად. 1829 წელს ალექსანდრე დააწინაურეს და იგი საქართველოს უმაღლესი მთავრობის სააღმასრულებლო ექსპედიციის მრჩეველი გახდა (სოვეტნიკი) **(საოჯახო ბიბლიოთეკა, 2009: 47-48).**

შეიძლება ითქვას, რომ 1832 წლის ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი და აქტიური მონაწილე ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი იყო. ამ პერიოდიდან იგი რადიკალურად იცვლება და საკმაოდ ფრთხილი ხდება. ერიდება უცხოებთან საუბარს, ზოგჯერ სახლშიც კი შუქი გამოურთავს და ისე უსაუბრია ოპონენტთან, რადგან ეჭვობდა, რომ ყოველთვის ვიღაც უსმენდა. ის ძალიან შეიცვალა. მაგრამ იმავე დროს შეთქმულებამ შესძინა უზარმაზარი გამოცდილება, რომელიც შემდგომ პერიოდშიც სასიკეთოდ გამოადგა **(მორჩილაძე, 2013: 12).**

მიუხედავად ალექსანდრესა და ერთი იდეისათვის გაერთიანებული პატრიოტი ადამიანების მცდელობისა, შეთქმულება მაინც ჩაიშალა. როგორც შეთქმულებაში მონაწილე სხვა პირები, ალექსანდრეც დააპატიმრეს და ავლაბრის ყაზარმებში მოათავსეს. მალევე ის ჩარიცხეს დამნაშავეთა მეორე კატეგორიაში, რის გამოც გადაასახლეს ქალაქ ორენბურგში. სასჯელის მოხდის მიზნით მას დაეწესა მეცხრე ლინეინის პრაპორშჩიკად მუშაობა. საცხოვრებლად კი მოუწია ადგილობრივი შჩერბაკოვის სახლი. გარკვეული პერიოდის შემდეგ ბატონიშვილი კაყოფილებას არ მალავს შჩერბაკოვისა და მისი მეუღლის მიმართ, რომლებმაც დიდი ყურადგება გამოიჩინეს გადასახლებაში მყოფი ალექსანდრეს მიმართ. ზრდილობიანმა და კარგად აღზრდილმა ალექსანდრემ ადვილად გამონახა საერთო ენა ადგილობრივ

მოსახლეობასთან, სადაც მალევე შეიძინა მეგობრები მისი ეროვნებისდა მიუხედავად **(ვანახია).**

ორბელიანის ახლო სანათესაო და სამეგობრო წრეებმა გადასახლების დღიდანვე დაიწყეს ზრუნვა, როგორმე საქართველოში დაებრუნებინათ მწერალი. თუმცა საკმაოდ რთული შესასრულებელ იქნებოდა ეს იდეა, რადგან მწერლის „მემუარებში“ აღნიშნულია, რომ კავკასიის მთავარმართებელს, ბარონ როზენს, იმდენად საშიშ პიროვნებად მიუჩნევია ახალგაზრდა მამულიშვილი, რომ საქართველოში მის დაბრუნებაზე კატეგორიული უარი განუცხადებია. დედასამშობლოსაგან მოშორებულმა მწერალმა გადასახლებაში 5 წელიწადი და 8 თვე დაჰყო. 1840 წლის გაზაფხულზე, იგი დიდი სიხარულითა და ბედნიერებით აღსავსე სამშობლოში დაბრუნდა **(https://burusi.wordpress.com/2009/08/08/ალექსანდრე-ორბელიანი/).**

სამშობლოში დაბრუნება ალ. ორბელიანმა უდიდესი ემოციით გამოხატა: „ეხლა ნახევარკაცი ძლივს მოვდივარ. მოვალ მაგ შენს ხეობაში. შენს ქვებს მოვლოკ ჩემი ამდენი წლის დახავსებულისა გულისა განსაკურნად. შენ იქნები, მდინარეო თერგო, ჩემი პირველი უკვდავების წყარო... დარიელის ხიდს ქვემოთ თერგის პირზე ჩაველ... იქ დავიჩოქე, ერთს ქვას მოვეხვიე და იმას კოცნით მოვლოკამდი, რომელსაცა მიხაროდა და ღმერთს მადლობას შევსწირავდი: კიდევ ვნახე ჩემი მშობელი მამულის სამძღვრის პირი“ **(ბერძნიშვილი, 1983: 126).**

გადასახლებიდან დაბრუნებული ალ. ორბელიანი სახელმწიფო სამსახურში აღარ შესულა. მწერლის თქმით, „აქეთ რომ დავბრუნდი და ჩემს სახლში მოვედი ჩემ მახლობლებთან, მეგონა: ეს-ეს არის ჩემი გული დამშვიდდება-მეთქი. არა, ვეღარ შევიძელი, ვეღარ მოვერიე ჩემ გულს, ვეღარ დავაწყნარე, უარესი და უარესი სურვილი მომეკიდა მამულისა“ **(საოჯახო ბიბლიოთეკა, 2009: 49)**.

სამშობლოს სიყვარულით გულანთებულმა მწერალმა თავი საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობას მიუძღვნა. ალ. ორბელიანი იღვწოდა ქართული თეატრის აღორძინების, ჟურნალ-გაზეთების დაარსებისა და სკოლების გახსნისათვის. ივანე კერესელიძის რედაქტორობით აღდგენილ ჟურნალ „ცისკარს“, გრიგოლ ორბელიანთან ერთად ისიც აფინანსებდა. მასში ხშირად აქვეყნებდა თავის თხზულებებს. „ერთხელ მოადგნენ ივანე კერესელიძე, პეტრე უმიკაშვილი და

სრულიად ახალგაზრდა აკაკი წერეთელი, უკვე ცისკარში მოხვედრილი თავისი პირველი ლექსებით, და უთხრეს, ძალიან ცუდად არის საქმე, ფული აღარა გვაქვს და ჟურნალი უნდა გავაჩეროთო. მოუტრიალდა ალექსანდრე კატინოს და უთხრა: აბა, გამოალაგე, რაც ვერცხლეული და რამე გაქვსო, და ცოლმა დაიჩივლა: ბატონო, რატო იცი ხოლმე ოჯახის აკლება, რატო არაფერს არ დატოვებო?“ (**მორჩილაძე, 2013: 14**).

ა. ორბელიანის სახე შთამბეჭდავად ცოცხლდება მისი ძმიშვილის, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის, მოგონებებში: „საინტერესო ტიპი იყო ჩემი საყვარელი ბიძა, თავისებური, განუმეორებელი, ძალიან მორწმუნე. დიდი მოსიყვარულე ყველა თავისიანებისა. ყოველღამ დაწოლის წინ გამოვიდოდა თავის დიდ სვეტებიან აივანზე და სუყველას შორიდან პირჯვარს გვწერდა და თან ტრიალებდა, რადგან ქალაქის სხვადასხვა კუთხეში, მისგან სხვადასხვა მიმართულებით ვცხოვრობდით. მარადჟამ სამშობლოს განთავისუფლებას ნატრობდა“ (**საოჯახო ბიბლიოთეკა, 2009: 80**).

ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი გარდაიცვალა 67 წლისა, 1869 წლის 28 დეკემბერს. დაკრძალეს სიონის ტაძარში.

§.2. პირუთვნელი მემატიანე

ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი ნიჭიერი შემოქმედი და, ამავე დროს, თავის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანია. იგი ერთდროულად არის მწერალიცა და ისტორიკოსიც. ამ ღირსებებიდან გამომდინარე, მისი ისტორიული წერილები, რომლებიც, ძირითადად, საქართველოს ისტორიის მტკივნეულ მომენტებს შეეხება, საინტერესოდაც იკითხება და, ამავდროულად, ისტორიულ პროცესებსაც სიღრმისეულად აშუქებს.

როგორც თავისი ქვეყნის პატრიოტი, ა. ორბელიანი მოურიდებლად ამხელდა რუსეთის იმპერიის ხელისუფლებისა და მისი დამქაშების ანტიქართულ საქმიანობას, რის გამოც ხშირად დაუმსახურებია ცენზურის რისხვა. XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოში მიმდინარე მოვლენები მან ყოველგვარი შელამაზების გარეშე გადაუშალა მკითხველს. ლევან ბატონიშვილის მკვლელობის, გეორგევსკის ტრაქტატის, 1795 წლის აღა-მაჰმად ხანის საქართველოში შემოსევის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ მას განსხვავებული ხედვა აქვს და განსხვავებულადაც აშუქებს თავის წერილებში. ალექსანდრე თავის წერილებში საუბრობს ისეთ დაფარულ ფაქტებზე, რომლებიც ამ პერიოდის სხვა ავტორებთან თითქმის არ გვხვდება, რის გამოც ქართულ ისტორიოგრაფიაში ა. ჯამბაკურ ორბელიანის ცნობებს ხშირად ნაკლებად სანდოდ მიიჩნევდნენ. ეს ტენდენცია, გარკვეულ წილად, დღესაც გრძელდება.

გავარკვიოთ რამდენად ობიექტურია ა. ჯამბაკურ-ორბელიანი როგორც ისტორიკოსი.

ჩვენის აზრით, ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის ღირსება, როგორც ისტორიკოსისა, სწორედ ის არის, რომ იგი ბოლომდე ობიექტურია ყველას მიმართ. ობიექტურად და შეულამაზებლად აღწერს მოვლენებსაც. მისი ეს ღირსება განსაკუთრებით მაშინ ჩანს, როცა თავისივე ოჯახის წევრებზე დაუფარავად ამბობს ყველაფერს და დადებითთან ერთად უარყოფითსაც დაურიდებლად ააშკარავებს. მაგალითად, ალექსანდრეს შეეძლო მამის, ვახტანგის მიერ ნაამბობი საიდუმლოდ შეენახა და სააშკარაოზე არ გამოეტანა. ამის ნაცვლად იგი დაუფარავად გვმცნობს მამამმისის მიერ დაშვებულ შეცდომას და ამით, გარკვეულწილად, მასაც სდებს

ბრალს კრწანისის მარცხში. „რევაზ ანდრონიკაშვილისთვის რომ არ დამეჯერებინა (ანდრონიკაშვილის კაცს სიტყვა მოეტანა ვითომც გიორგი ბატონიშვილისაგან და ომში წასვლა აეკრძალა მისთვის) და მე და ჩემს დას ეკატერინეს გარეჯელებისათვის შემოგვეძახა, მეფეს ერეკლეს უჭირს, მიეშველენითო, მთელი გარეჯობა მოიგლიჯებოდა სამიათასი ცხენიანი მეომარი და მაშინ ნახავდა თავის ყოფას აღა-მაჰმად-ხანი“ – გულწრფელად უღიარებია თავისი შეცდომა ვახტანგ ჯამბაკურ-ორბელიანს **(კაკაბაძე, 1914-b: 8).**

ასევე, ალექსანდრე დიდად აქებს თავის ბიძას დავით ჯამბაკურ-ორბელიანს, მაგრამ მის სუსტ მხარეებსაც არ ივიწყებს: „სარდალი თ’ა დავით ჯ. ორბელიანი იყო ძლიერ ენერგიის კაცი, მამულისა და მეფის ირაკლისა დიდი ერთგული(მეფის ირაკლის ქალი თამარი ჰყუანდა ცოლათ), მაგრამ იმის ნაკლულევანებას ასე იტყოდნენ: ხასიათით აპრიალებული იყო, როგორც თავის მამა რევაზ და ყოვლის ფრითაც იმას გუანდაო ... ის იყო განუსაზღვრელი პატივის მოყუარული და მედიდური ანუ გულმაღალი კაცი. იმას ოღონდ თავისი გაეყვანა, თორემ ტყუილსაც არ დაერიდებოდა“ – მიუთითებს იგი **(ჯამბაკურ-ორბელიანი, 1914-a: 34-35).**

ა. ჯ.-ორბელიანი მწარედ აკრიტიკებს ერეკლეს პერიოდის ყველა იმ მოღალატეს, განურჩევლად დიდისა თუ პატარისა, რომელსაც საქართველოს დამარცხება-დაკნინებაში მცირედი წვლილი მაინც მიუძღვის. როდესაც საჭიროა, რომ სიმართლე გაირკვეს, იგი არა თუ სხვებს, არამედ თავისი გვარის წარმომდგენლებსაც კი არ ზოგავს და დაუფარავად საუბრობს მათ ქმედემებზე.

მაგ., ა. ჯამბაკურ-ორბელიანი თავის ერთ-ერთი ნაშრომი, როცა ახასიათებს ზემოთ ნახსენებ დავით ორბელიანს, დაუფარავად ამბობს, რომ მისი სიკვდილის შემდგომ ორბელიანთა უმეტესობამ მოღალატეობას მიჰყო ხელი. „დავით სარდლის შემდგომ სულერთიან ორბელიანები მოღალატეები შეიქნენ მეფის ირაკლისა. დავით სარდლის შემდეგ რაღაც ხარახურა ხალხი დარჩა ჯ. ორბელიანები, ერთს რიგიანი ჭკუა არ ჰქონდა, სულ ფუქსავატი რაღაებიც იყვნენ. დავით სარდლის შვილი ივანე სარდალი რაღაც უბრალო ლეში იყო, მეითარის სოლომან თარხნიშვილის მონა (ივანე სარდლის და ჰყუანდა თინათინ), რომელსაცა თუ უნდა აყენებდა და თუ უნდა დასომდა, უსოლომონოთ ერთ ნაბიჯს არ გადაადგამდა, ასე დამორჩილებული იყო იმისი. ამ ივანე სარდლის ბიძაშვილი გიორგი ცარიელი ლაპარაკი იყო, დასომდით,

უცხოს მშვენიერის სიტყვებით ილაპარაკებდა რაც უნდა ყოფილიყო და ამაზე მეტი კი არაფერი. ამის ძმა ზურაბ იყო მყვირალა კაცი, თუ არა ყვირილით არას იტყოდა და ძალიაანი ქაღალდის მოთამაშე... ამათ ძმას ასლანს უნდოდა მითამ დავით სარდლის როლი ეთამაშა საქართუელოში, იმისთანა გულფიცხელი კაციც იყო, მაგრამ არც ტანი ჰქონდა იმისი, არც სახე, არც იმისი გონება და არც იმისი მოხერხება ... ამის მომდევნო ძმები იოსებ და სოლომონ თავის უფროსების მორჩილი იყვნენ, რასაც ისინი უბრძანებდნენ, იმას აღასრულებდენ-ო“ **(ჯამბაკურ-ორბელიანი, 1914-a: 35-36).** ასე გულწრფელად ახასიათებს ალექსანდრე თავის უახლოეს ნათესავებს და სხვას როგორ დააფარებდა ხელს ან არასწორად როგორ წარმოაჩენდა ვისიმე ქმედებას.

გულის ტკივილით საუბრობს ალექსანდრე თეიმურაზ ბატონიშვილზეც, რომელმაც აღწერა კრწანისის მოვლენები, ის ტრაგედია, რაც 1795 წლის სექტემბერში ქართველმა ხალხმა გადაიტანა. ბევრი ქართველი მეომარი დაიღუპა, თავი შესწირა საქართელოს გადარჩენის იდეას არათანაბარ ბრძოლაში. გადაიწვა და განადგურდა თბილისი, მოსახლეობა თითქმის განახევრდა, შეჩერდა კულტურული აღმავლობა განათლებასთან ერთად. ამ პერიოდში გადატანილი დიდი ტრაგედიის შემდეგ თეიმურაზ ბატონიშვილი ვალდებული იყო არსებული ვითარება, ბრძოლის მსვლელობა, გეგმა და სხვა დანარჩენი ზედმიწევნით და შეძლებისდაგვარად ზუსტად აღეწერა, ვინაიდან ის, ბრძოლის მხილველი თუ არა, ეპოქის მომსწრე პირი იყო. „ის დალოცვილი ბატონიშვილი თეიმურაზ იმ საშინელს და საკვირველს ამბებს მოესწრა და რატომ ყველა სწორეთ არ აწერა, უფრო სახარბიელო არ იქნებოდა, მინამ ისე გადაცვლით და ჩაჩქმალული? – განა იმას კუდი ეწოდა რაზედმე? ... მე ამ შესავალში ამას იმისთვის არა ვწერ, რომ მე ჩემი დავამტკიცო-მეთქი. იმისათვისა ვწერ, რომ ბატონიშვილის თეიმურაზისაგან მწყინს; იმას უნდა დაუფერებლივ ყველა სწორეთ დაეწერა, რადგან მომსწრე იყო ამ ამბებისა, მინამ ასე გადაესხვაფერებინა“ – შენიშნავს ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი **(ჯამბაკურ-ორბელიანი, 1895: 6-7).**

ა. ჯ.-ორბელიანის ნაშრომებში ხშირად გვხვდება საუბარი ქვეყნის მოღალატე პიროვნებებზე, ფარული მტრების საქმიანობაზე, როგორც საშინაო, ისე საგარეო მტრებზე. ერთ-ერთ ნაშრომში ისტორიკოსი მიუთითებს იოსებ არღუთიანის ანტიქართულ საქმიანობაზე, რომელიც სიცოცხლის ბოლოს სომეხთა კათოლიკოსი იყო. ა. ჯ.-ორბელიანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისეთი პირები ვამხილე, მათთან

იოსებ არღუთიანის ამბავიც უნდა მეთქვაო. „ახლა ცხადათ ვიტყვი, რომ უკანასკნელად სომხების ორქივატერმა იოსებ არღუთაშვილმა დაღუპა საქართუელო. იმან აღამამადხან მოიწვია საქართუელოზედ. როგორ იყო, რისთვის და ვისი პირით მოიწვია, ვიცით ყუელა. თუ იმისთანა გუამები გამოვიმეტეთ, რაც ვიცოდით იმათზე, ვთქუით, არ დავზოგეთ, უთუოთ იმთენს გუამებთან ორქივატერის ამბავიც უნდა ყოფილიყო, ასე მაინც მოკლეთ. ერთის სიტყვით, ჯოხიანი და უჯოხოი, დიდი და პატარა, საბყარი და ფეხმართალი, ბრმა და თუალხილული, საქართუელოს შინაური და გარეული, საწყალს ცოტა ქართუელებზე მოსდგნენ სულ ყუელანი ერთად თითქმის ერთ დროს მეფის ირაკლის დროებში. დასამალავია, ნუ ვიტყვით ამაებს?“ – გაცხარებით სვამს კითხვას ისტორიკოსი **(ჯამბაკურ-ორბელიანი, 1914-b: 37).**

ალექსანდრეს მართლაც არაფერი დაუმალავს. იგი აკრიტიკებს და სააშკარაოზე გამოყავს ყველა, ვისაც ბრალი მიუდით საქართელოს უკან დახევასა და დაკნინებაში. მკითველისათვის ადვილად გასაგები უნდა იყოს, თუ რაოდენ მართლის მთქმელია ალექსანდრე ორბელიანი და რამდენად სიმართლეს შეესაბამება მისი თითოეული ნაშრომი, ვინაიდან როგორც ქვეყნის სხვა მოღალატე პირებს ამხელს, ისევე აკრიტიკებს დაუფარავად თავისი საგვარეულოს წარმომადგენლებსაც. „ზევით რომ ვთქუით, დავით სარდლის შემდგომ ორბელიანები მოღალატენი შეიქნენ მეფის ირაკლისა მეტქი, არამცუ მარტო ორბელიანები, სხუებიც უფრო ადრითგანვე. მაგრამ ჩემის სწორეს ლაპარაკითაუგათ ვიხსენები ბევრისაგან და მაინც კიდევ მე ჩემსას არ დავიშლი, ვინც რა უნდა თქუან. მე არავინ დამიზოგია აქ, არც ჩემი გუარი და არც სხუა, ჩემთვის სულ ერთნი არიან. მამულის ღალატი მარჯუენა ხელმა ცოტათაც რომ იგრძნას, უნდა მოიჭრას ის ხელი და ძაღლებს მიუგდოს, არამცთუ დაზოგოს ვინმე“ **(ჯამბაკურ-ორბელიანი, 1914-a: 37).**

ყოველივე ზევით თქმულიდან გამომდინარე, ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი ობიექტურ, მართლისმთქმელ ისტორიკოსად უნდა ჩავთვალოთ და მის არატენდენციურობაში ეჭვი არ უნდა შევიტანოთ.

სანდოობას იმსახურებს ისტორიკოსის მიერ აღწერილი ფაქტებიც. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი არაფერს იგონებს, იგი რეალურ ამბებს აღწერს. მისი ერთ-ერთი წერილის წინასიტყვაობაში საქართველოს ჭეშმარიტი სიამაყე ექვთიმე თაყაიშვილი წერს: „წერილი ა. ორბელიანისა დამყარებულია უმეტეს

შემთხვევაში თანამედროვე პირების ნაამბობზე, რომელთა შორის ურევია თეკლე ბატონიშვილიც, ასული მეფე ირაკლი მეორისა და დედა ჩვენი წერილის ავტორისა“ **(ჯამბაკურ-ორბელიანი, 1895: 117).** თავად ალ. ორბელიანიც აღნიშნავს, რომ მისი ინფორმაციები პირველწყაროებიდან მომდინარეობს. „მე იმ ძველებისა ეს მამწონს, რომ უწინდელსა არაფერს არ მალავენ ჩემთან, არც ავსა და არც კარგსა“ – წერს იგი ერთგან **(კაკაბაძე, 1914-b: 4).**

ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანს ხელი მიუწვდებოდა ერეკლე მეფის დროინდელ მრავალ საინტერესო ცნობაზე, რომლებსაც ან უშუალოდ პროცესების მონაწილე პირებიდან იღებდა, ან მათი უახლოესი გარემოცვის საშუალებით ეცნობოდა.

ამდენად, ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი, როგორც ისტორიკოსი, ნდობას იმსახურებს არა მარტო თავისი ობიექტურობით, არამედ მის მიერ მოწოდებული ცნობების სიზუსტითა და რეალურობით.

თავი III – „სომხების დასი“ და კრწანისის ტრაგედია

§.1. აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა XVIII საუკუნის II ნახევარში

1747 წელს ირანში ჩასულ ქართლის მეფე თეიმურაზ II-ეს ნადირ-შაჰი შეთქმულთა მიერ მოკლული დახვდა. მისი ადგილი კი თეიმურაზის სიძეს ალი-ყული-ხანს დაეკავებინა, რომელსაც ძალაუფლების შესანარჩუნებლად თეიმურაზისა და ერეკლეს მხარდაჭერა სჭირდებოდა. არეულობა ქართლსაც მოედო, აბდულა ბეგმა ქართლის ტახტზე პრეტენზია განაცხადა, თუმცა ერეკლემ წავკისთან ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა აბდულა ბეგი **(გელაშვილი, 2018: 38-39).**

„ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ ამიერკავკასიაში დაიწყო ხანგრძლივი ომები მისი იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ სახელმწიფოებს შორის. ამ ომებში ქართველები, რომლებსაც ერეკლე II სარდლობდა, მეტწილად გამარჯვებულები გამოდიოდნენ. მათ არამარტო დაიცვეს თავისი დამოუკიდებლობა, არამედ ზოგი მეზობელი სახანოც დაიმორჩილეს. ერეკლემ თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა მეომარმა, ნიჭიერმა სარდალმა და დიპლომატმა. თავისი მამის, თეიმურაზ II–ის გარდაცვალების შემდეგ (1762) იგი გაერთიანებული ქართლ-კახეთის, ანუ მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მეფე გახდა“ **(ანჩაბაძე, 2005:16).**

ეს წარმატებები, რა თქმა უნდა, ერთბაშად არ მოსულა. თეიმურაზსა და ერეკლეს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სასტიკი ბრძოლების გადახდა მოუწიათ, ქართლ-კახეთის მდგომარეობის განმტკიცებისათვის რომ მიეღწიათ.

ჯერ კიდევ 1748 წელს, აბდულა ბეგისა და თბილისის ირანული გარნიზონის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული წარმატებების შემდეგ „ერეკლე მეფეს ქედი მოუხარეს სომხეთ-აზერბაიჯანის სახანოებმა. ერევნისა და განჯის ხანებმა მას საჩუქრები მიართვეს. ასევე მოქცეულა ამიერკავკასიაში საკმაოდ გავლენიანი ხანი აჯი ჩელები“ **(სინ, 1973: 610).**

1749 წლის შემოდგომაზე ერევნის სახანოს თეიმურაზმა და ერეკლემ დახმარება გაუწიეს თურქმანულ ტომებთან შეტაკებისას, რის შემდეგაც ერევნის სახანო ქართლ-კახეთის მფარველობაში შევიდა და წოველწლიური ხარკი იკისრა.

„ერევნის შემდეგ ქართლ-კახეთის მფარველობა ნახიჩევანის სახანომაც აღიარა“. სომეხთა კათალიკოსის ლუკას სიტყვით, ქართლ-კახეთის მეფემ ,,დაიმორჩილა ბორჩალოს, ყაზახის, ერევნის, განზაკის, არცახისა და სივნიეთის მფლობელნი, გვირგვინი დაიდგა და გამეფდა საქართველოსა და სომხეთში მდინარე ახურიანამდე“ **(სინ, 1973: 612-614).**

„1750 წელს ლეკებმა ქართლ-კახეთზე გენერალური შეტევა წამოიწყეს“, მაგრამ მათი 7-ათასიანი ჯარი ქართველებმა დაამარცხეს და, თავის მხრივ, ჭარ-ბელაქნის დასაპყრობად დაიწყეს მზადება, რადგან ამ ქვეყნის დამორჩილების გარეშე ლეკთა თარეშის აღკვეთა რთული იყო. ქართველთა ამ განზრახვას წინ აღუდგა შაქი-შირვანის ხანი აჯი ჩელები, რომელმაც გაიერთიანა ჭარ-ბელაქნელები, ელისუს სულთანი, დაღესტნელები, კავშირი დაამყარა ერეკლეს მორჩილ ხანებთან (განჯა, ერევანი, ყარაბაღი, ნახჩევანი) და ერთობლივი ძალისხმევით 1751 წლის თებერვალსა და 1752 წლის აპრილში ორჯერ დაამარცხა ქართლ-კახეთის ჯარები **(საქართველოს ისტორია, 2012: 354).**

1751 წელს ერეკლე მეფეს ირანის ტახტის მაძიებელ აზატ-ხანთანაც მოუწია შეტაკება. მცირე ძალებით ბევრად აღმატებულ მტერზე ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. დაბნეულ და შეშინებულ ყიზილბაშებს დიდ მანძილზე სდიეს ქართველებმა, ბევრი დახოცეს, ბევრიც კი დაატყვევეს **(წოწკოლაური, 2015: 534).** მიუხედავად ამ გამარჯვებისა, მთავარ პრობლემად მაინც აჯი ჩალაბის საკითხი რჩებოდა. თეიმურაზისა და ერეკლეს ყურადღებაც უფრო აქეთკენ იყო მიმართული.

აჯი-ჩალაბიც არ აპირებდა გულხელდაკრეფილი ჯდომას და იგი საქართველოს საწინააღმდეგო კოალიციის შექმნას ცდილობდა. მან მოახერხა კიდეც ქრისტიან ერეკლე-თეიმურაზისადმი თვით მათი მოხარკე და ქვეშევრდომი მაჰმადიანი ხანებისა და ელების დაპირისპირება. გარდა ამისა, შემოიკრიბა ჭარ-ბელაქნელები, დაღესტნელები და დიდი ჯარით ქართლში შემოიჭრა. ამ მძიმე მომენტში თეიმურაზმა და ერეკლემ დიდი სულიერი სიმტკიცე და წინდახედულობა გამოიჩინეს. მოახდინეს თავისი ძალების მობილიზება. ხაზინიდან გამოატანინეს ოქროსა და ვერცხლის ნივთები, რომლითაც მოაჭრევინეს ფული. ამ ფულით ქართველმა მეფეებმა დაიქირავეს ჩრდილოეთ კავკასიელი ჩერქეზები და სხვა მთიელები. ასეთმა ენერგიულმა მოქმედებამ მტერი შეაკრთო და საქართელოს

დაპყრობის განზრახვაზე ხელი ააღებინა, უკან დახეულ აჯი-ჩალაბს კი თვითონ ერეკლე მეორე დაედევნა, მიეწია ყაზას-შამშადილოს საზღვარზე და აქ, სოფ. თულქითაფასთან 1752 წლის 1 სექტემბერს სასტიკად დაამარცხა. ქვეყანაში სიმშვიდემ დაისადგურა **(საქართველოს ისტორია, 2008: 307-310).**

სიმშვიდეს ქართლ-კახეთში ლეკთა გახშირებული წვრილ-წვრილი თარეში არღვევდა, რომელთაც „ზოდჯერ მათი დიდი ლაშქრობებიც მოსდევდა. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ხუნძახის (ავარიის) მფლობელის ნურსალ-ბეგის ორგზის ლაშქრობა“. იგი 20-ათასზე მეტი კოალიციური ლაშქრით 1754 და 1755 წლებში შემოიჭრა საქართველოში, მაგრამ ქართულმა ჯარმა, ერეკლე მეფის მეთაურობით, ჯერ მჭადიჯვართან, მერე კი ყვარლის ციხესთან იგი სასტიკად დაამარცხა **(წოწკოლაური, 2015: 535-536).** მიუხედავად ამ გამარჯვებებისა, ლეკთა წვრილი თარეშები ისევ გრძელდებოდა, თუმცა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე მათ დიდი გავლენის მოხდენა არ შეეძლოთ.

1762 წლიდან, რუსეთში ელჩად წასული თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ, ქართლ-კახეთი ერეკლე მეფის ხელში გაერთიანდა. იგი კვლავ ინარჩუნებდა პირველობას ამიერკავკასიაში. საქართველოს ისტორიის ნარკვევებში ვკითხულობთ, რომ „ერეკლემ ყარაბაღის ხანს ძლიერი დამარცხება აგემა, განჯაზე ბატონობა განამტკიცა, ხოლო თვით ყარაბაღელი ხანი – ფანა თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია. ქართლ-კახეთის უზენაესობა საჯაროდ აღიარეს აგრეთვე შაქის, შამახიის, ყარაბაღისა და ნახჩევანის მფლობელებმაც. კიდევ უფრო განმტკიცდა ერეკლეს მბრძანებლობა სომხეთში“. იქვე აღნიშნულია, რომ ერეკლეს ხელში გაერთიანებულ აღმოსავლეთ საქართველოს სერიოზულ ანგარიშს უწევდა ოსმალეთი, რუსეთი, დასავლეთ ევროპა და, განსაკუთრებით, დასუსტებული ირანი **(სინ, 1973: 630-631).** გარდა ამისა, „საქართველოს გაძლიერებამ 60-იან წლებში გამოაცოცხლა ახლო აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხების, უპირატესად ქრისტიანების განმათავისუფლებელი მოძრაობა (სომხები, აისორები, ქურთთა ზოგიერთი ტომი, ანატოლიელი ბერძნები და სხვა), რომლებიც იმ დროს საქართველოს დახმარებით ფიქრობდნენ თავისუფლების მოპოვებას და ერეკლეს მფარველობას მოითხოვდნენ“ **(სინ, 1973: 635).**

მდგომარეობა ქვეყნის შიგნითაც განმტკიცდა.

„თეიმურაზ II-ის რუსეთში გარდაცვალების გამო (1762 წ. იანვარი) ქართლ-კახეთი ერეკლე II-ის ხელში გაერთიანდა. „მარკოზაშვილის დარბაზელების“

შეთქმულების გახსნითა და წევრების დასჯა-გასამართლებით (1765 წ.) გარკვეულწილად ლაგამი ამოედო ფეოდალთა თვითნებობას. მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ქვეყნის ცენტრალიზაციის საქმეშიც – გაუქმდა არაგვის საერისთავო (1743 წ.), ყაზახისა (1755 წ.) და ბორჩალო-ბაიდარის (1765 წ.) სახანოები და ამიერიდან მათ უშუალოდ მეფის მოურავები მართავდნენ. 1769 წელს ერეკლე II-მ ქსნის საერისთავოს გაუქმებისა და მისი სახასოდ გადაქცევის გადაწყვეტილებაც მიიღო“ **(ჯიბაშვილი, 2009: 95).**

ერეკლეს საშინაო პოლიტიკაში დიდი ყურადღება ექცეოდა სოციალური საკითხებისა დ გლეხთა პრობლემების მოწესრიგებას. აჯამებდა რა ამ კუთხით ქართლ-კახეთის მეფის საქმიანობას, ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, ,,ერეკლეს საგლეხო პოლიტიკა მიმართული იყო აყრილ-დაკარგულთა, ხიზან-ბოგანოთა რიცხვის შემცირებისაკენ და სამშობლოს დამცველ მემკვიდრე გლეხთა, შეძლებულ, „გამომღებ“ მიწის მუშათა გამრავლებისაკენ“, რის გამოც „ერეკლე უყვარდა ხალხის ფართო მასებს, განსაკუთრებით, გლეხობას“ **(ბერძენიშვილი, 1965: 210-213).**

როგორც მკვლევარი გიორგი ანჩაბაძე მიუთითებს, „XVIII ს-ის 50-70-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოში გარკვეული აღმავლობა შეინიშნება. გლეხთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად გამოიცა მთელი რიგი კანონები, რითიც შედარებით გაუმჯობესდა სოფლის მეურნეობის წარმოების პირობები. აღმოსავლეთ საქართველოში აღდგა სამთამადნო მრეწველობა, გაიხსნა ახალი საწარმოები, სადაც უკვე ფართოდ იყენებდნენ დაქირავებულ შრომას, ჩამოყალიბდა პირველი მანუფაქტურები. ერეკლე II ყველანაირად ცდილობდა საქართველო განვითარების ევროპულ გზაზე დაეყენებინა. მისი მმართველობის ხანაში ქართლ-კახეთის სამეფოში უკვე შეიმჩნევა ფეოდალური ურთიერთობების რღვევა: გლეხთა ნაწილი თავისუფლდება ბატონყმობის უღლისაგან და თავისუფალი მწარმოებელი ხდება, იზრდება მდიდარი თბილისელი ვაჭრების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დაბალი წრეებიდან გამოსული ცალკეული პირები სახელმწიფო თანამდებობებზე წინაურდებიან. კულტურისა და განათლების დარგში აღსანიშნავია ორი სასულიერო სემინარიისა და სხვა სასწავლებლების გახსნა“ **(ანჩაბაძე, 2005: 17).**

დადგა შედარებით მშვიდობიანი ხანა. ომი და რბევა, არსებითად, საქართველოს ფარგლებს გარეთ ხდებოდა. ნორმალურ კალაპოტს უბრუნდებოდა

საქალაქო ცხოვრება. ქართლ-კახეთის ქალაქები სულ უფრო და უფრო იზიდავდა მოსახლეობას არა მარტო ქართული სოფლებიდან, არამედ მეზობელი ქვეყნებიდანაც. განსაკუთრებით ფართოვდებოდა თბილისი. XVIII საუკუნის II ნახევარში აქ 30 ათასამდე მოსახლე იყო **(თაბუაშვილი, 2020: 213).**

ერეკლე მეფე დიდ ყურადღებას უთმობდა ვაჭრობის განვითარებას და კარგი შედეგებიც ჰქონდა ამ მხრივ **(თაბუაშვილი, 2020: 202-224).** განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ განვითარების სწრაფი ტემპი აიღო სამთამადნო საქმისა და მანუფაქტურული წარმოების განვითარებამ **(თაბუაშვილი, 2020: 225-224).**

მკვლევარი აპოლონ თაბუაშვილი საინტერესოდ აშუქებს მრეწველობის აღმავლობის პროცესს XVIII საუკუნის II ნახევრის საქართველოში. მიმოიხილავს რა ძირითადად ქვემო ქართლში ამოქმედებულ მადანგადამამუშავებელ საწარმოებს (დამბლუღის, ალავერდის, შამბლუღისა და სხვა სპილენძსადნობი ქარხნები), იგი ხაზს უსვამს, რომ „XVIII საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ამოქმედდა სხვა სახელმწიფო „ქარხნებიც“. მათი აბსოლუტური უმრავლესობა თბილისში მდებარეობდა. სამეფო კარის ორგანიზებით შექმნილი ერთ-ერთი ასეთი მანუფაქტურული ტიპის საწარმო იყო ლითონის ჩამოსასხმელი ქარხანა, რომელიც ახტალა-ალავერდის სამთამადნო წარმოების ბაზაზე აშენდა. ლითონჩამოსასხმელ საწარმოში დამზადებული პროდუქციის ერთი ნაწილი სამხედრო მრეწველობას ხმარდებოდა, მეორე ნაწილი, ძირითადად, სპილენძის ჭურჭლის დასამზადებლად იყო განკუთვნილი, დარჩენილი საკმაოდ დიდი რაოდენობის ლითონი ზოდების სახით უცხოეთის ბაზრებზე გადიოდა. ლითონჩამოსასხმელი წარმოების ბაზაზე შეიქმნა ე.წ. „ჭურჭლეულის ქარხანა“ ... ლითონჩამომსხმელი წარმოების ბაზაზე აშენდა აგრეთვე ქართლ-კახეთის სამეფოსათვის დიდი მნიშვნელობის მქონე საწარმო – ზარბაზნების, მორტირებისა და ყუმბარების „ქარხანა“ **(თაბუაშვილი, 2020: 233).** ავტორი სხვა საწარმოებზეც საუბრობს.

მისივე დასკვნით, „ერეკლე II-ის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან ქვეყანაში სახელმწიფო შემოსავლები საგრძნობლად გაიზარდა. თუ 1770 წლისათვის სამეფოს შემოსავლები 120 000-150 000 მინალთუნი, ანუ 600 000-750 000 სირმა-აბაზი იყო, 1780-იან წლებში 400 000 მინალთუნს/რუბლს, ანუ 2 მილიონ აბაზს შეადგენდა“ **(თაბუაშვილი, 2020: 239).**

1750-60-იან წლებში მიღწეული წარმატებების ფონზე ერეკლე მეფემ მიზანშეწონილად ჩათვალა რუსეთ-ოსმალეთის 1768-74 წლების ომში რუსეთის მხარეზე ჩართულიყო. იგი რუსეთის დახმარებით ოსმალთაგან მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნებას ცდილობდა. სამწუხაროდ მისი გეგმები ვერ განხორციელდა. „რუსეთ-თურქეთის ომი 1774 წელს ქუჩუქ-კაინარჯის ზავით დამთავრდა. ზავით რუსეთმა თავის მიზანს მიაღწია – ვრცელი ტერიტორიები შეიერთა შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე. სამაგიეროდ სცნო თურქეთის გავლენა მთელ დასავლეთ საქართველოზე. აღმოსავლეთ საქართველოს საკითხი კი საზავო მოლაპარაკების დროს რუსეთს არც წამოუყენებია“ **(წოწკოლაური, 2015: 542-543.)**

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, რუსეთ-ოსმალეთის 1768-74 წლების ომს, ობიექტურად, საქართველოსათვის გარკვეული მნიშვმნელობა მაინც ჰქონდა. „ომის შედეგად თურქეთის იმპერიის ძლიერება გატეხილ იქნა და იგი მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ იქცა. თურქებმა იმერეთთან და ქართლ-კახეთთან ბრძოლის უნარი დაკარგეს. სულთანი იძულებული გახდა დაკმაყოფილებულიყო იმით, რომ რუსეთმა სცნო მისი უფლებები დასავლეთ საქართველოზე, მაგრამ ეს უფლებები ნომინალური იყო. ოსმალეთს ამ ქვეყანაში ტყვე მონებით თუ სხვა სახის ხარკის აღება და ქრისტიანების დევნა აეკრძალა“ **(სინ, 1973: 663).**

ასეთმა შედეგებმა კი ის განაპირობა, რომ ოსმალეთმა ერეკლეზე შურისძიების ნაცვლად, მასთან საერთო ენის გამონახვას შეეცადა. „1778 წელს ოსმალეთის ხონთქრისაგან ძვირფასი საჩუქრები და ელჩი მოუვიდა. შეთანხმება მოხდა. ამიერიდან ქართლ-კახეთი ოსმალეთის მოკავშირედ ითვლებოდა“ **(საქართველოს ისტორია, 2943: 365).** ამავე ხანებში, 1779 წელს, ირანის მმართველი „ქერიმ-ხანი გარდაიცვალა, ირანი ისევ არეულობამ მოიცვა და ირან-საქართველოს ურთიერთობის საკითხის სიმწვავე კარგა ხნით განელდა **(იქვე).**

1768-74 წლების გამოცდილება ერეკლე მეფეს თავდაცვითი ძალების რეორგანიზაციის პროცესშიც დაეხმარა. მან კარგად დაინახა რეგულარული ჯარის მნიშვნელობა და შეეცადა მსგავსი სამხედრო ძალა ქართლ-კახეთშიც შეექმნა. ასე ჩამოყალიბდა ე.წ. „მორიგე ჯარი“. 1773 წლის მიწურულს სამეფო დარბაზის მიერ მიღებულ „მორიგის ლაშქრობის განაჩენზე“ დაყრდნობით, აკად. ნ.ბერძენიშვილი

განმარტავს, რომ „მორიგე ლაშქრის რაობა შემდეგი იყო. ქართლ-კახეთის მამაკაცი მოსახლეობა აღწერილ იქნა. ყველა ლაშქრობის შემძლე მამაკაცი მოვალე იყო წელიწადში ერთი თვით ლაშქარში გამოსულიყო. ლაშქარში მორიგე თავისი ხარჯით მიდიოდა“ **(ბერძენიშვილი, 1965: 222).** შემდეგ აგრძელებს: „პირველ ხანებში მორიგეში ხუთი ათასი მეომარი გამოდიოდა. მორიგე ლაშქრის მიზანშეწონილობა, მისი დიდი სარგებლიანობა მალე აშკარა შეიქმნა. ლეკების თარეში შეწყდა, ქვეყანა ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდა, მიტოვებული სოფლები ისევ მოშენდა, გლეხებმა ციხე-გალავნები დასტოვეს, მინდვრად გავიდნენ და მშვიდობიან სოფლის მეურნეობას შეუდგნენ. მორიგე ლაშქრის მთავარი ხელმძღვანელი ერეკლეს ვაჟი ლევან ბატონიშვილი იყო“ **(იქვე).**

ამდენად, 1780-იანი წლების დასაწყისისათვის ქართლ-კახეთის საგარეო მდგომარეობა სტაბილური იყო, დასუსტებული ირან-ოსმალეთი ძველებურ საფრთხეს აღარ წარმოადგენდნენ, ხოლო ქვეყნის შიგნით განვითარება კვლავ გრძელდებოდა.

სწორედ ამ დროს გააქტიურდა რუსეთის მთავრობის პოლიტიკა ამიერკავკასიაში. თავადი გრ. პოტიომკინი (იგი რუსეთის აღმოსავლურ პოლიტიკას ხელმძღვანელობდა) და მისი ხელქვეითები ერთის მხრივ ყირიმისა და ჩრდილოეთ კავკასიის საბოლოო დასაპყრობას ცდილობდნენ **(ბერძენიშვილი, 1973: 454),** მეორეს მხრივ კი ამიერკავკასიაში შემოსაღწევად მოსახერხებელ საშუალებებს ეძებდნენ. აქედან გამომდინარე, რუსეთში სჭირდებოდათ, რომ ქართლ-კახეთის მეფეს თავად ეტხოვა მფარველობა რუსეთისათვის და ამიერკავკასიაში შემოსვლა გაეადვილებინა მისთვის. მიზნის „შესაბამისად ამოქმედდნენ ეკატერინეს დიპლომატები. ერეკლეს კარზე იწყეს მიმოსვლა სხვადასხვა რუსმა მოხელეებმა, ელჩებმა, „მოგზაურებმა“. ყველა ესენი ზვერავდნენ საქართველოს, სწავლობდნენ მას. ამათი ცნობების ნიადაგზე პოტიომკინი და მისი შტაბი არკვევდნენ, თუ რა პირობებში იქნებოდა შესაძლებელი ამ ქვეყნის ჩართვა რუსეთის ახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკაში“ **(ბერძენიშვილი, 1973: 455).**

ზეწოლის სხვადასხვა მეთოდით, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა ქართლ-კახეთში მოქმედი „სომხების დასი“, ერეკლე მეფე აიძულეს რუსეთის იმპერიისათვის ოფიციალურად ეთხოვა მფარველობა **(საქართველოს ისტორია, 2012: 431-433; ჯიბაშვილი, 2016: 63-67).**

1783 წლის 24 ივლისს ჩრდილო-კავკასიის ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დაიდო ტრაქტატი, რომელსაც ხელი მოაწერეს რუსეთის მხრიდან პავლე პოტიომკინმა და პოდპოლკოვნიკმა ტამარამ, საქართველოს მხრიდან მემარცხენე დროშის სარდალმა ივანე ბაგრატიონმა და მანდატურთუხუცესმა გარსევან ჭავჭავაძემ.

როგორც მკვლევარი გ.ანჩაბაძე აღნიშნავს, „გეორგიევსკის ტრაქტატს საქართველოსთვის რაიმე არსებითი სიკეთე არ მოუტანია, ნეგატიური შედეგი კი დიდი იყო. ირანისა და ოსმალეთის მმართველი წრეები, რომლებიც შეშფოთებული იყვნენ რუსეთის ამიერკავკასიაში შემოსვლით, ერეკლე II-ს დაუპირისპირდნენ. გაძლიერდა დაღესტნელთა თავდასხმებიც. დაღესტნის ერთ-ერთმა უძლიერესმა მფლობელმა ომარ-ხანმა 1785 წელს 20-ათასიანი ჯარით წარმატებით ილაშქრა საქართველოში. რუსთა ბატალიონებმა დაღესტნელები ვერ შეაჩერეს, ორი წლის შემდეგ კი რუსეთის მთავრობამ საერთოდ გაიყვანა თავისი ძალები საქართველოდან და ერეკლე II ბედის ანაბარა დატოვა“ **(ანჩაბაძე, 2005:17-18).**

ერეკლე მეფემ მაინც შესძლო და ოსმალეთთან და ამიერკავკასიის მაჰმადიან მფლობელებთან დამოუკიდებლად მოაგვარა ურთიერთობები, რაშიც მას ის დაეხმარა, რომ მათაც სურდათ ერეკლესთან საერთო ენის გამონახვა **(სინ, 1973: 717-719).**

ამასობაში, 1790-იანი წლების დასაწყისში, ირანში ძალაუფლება ყაჯართა ყიზილბაშური ტომების წინამძღოლმა აღა-მაჰმად-ხანმა მოიპოვა. მალე მის წინაშე ქართლ-კახეთის დამორჩილებისა და ამიერკავკასიაში განმტკიცების საკითხი დაისვა.

§.2. სომეხთა აპოსტოლური ეკლესიის კათოლიკოსი სიმეონ ერევანცი (1763-1780) და სომხური სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეა

XVIII საუკუნის II ნახევარში სომეხი ერი, ფაქტობრივად, საკუთარი სახელმწიფოს გარეშე არსებობდა. ამავე დროს, როგორც ისტორიულ სომხურ ტერიტორიებზე, ისე უცხოეთში, მრავალრიცხოვან სომხურ დიასპორებში ბევრი სომეხი დიდ ფინანსურ შესაძლებლობებს ფლობდა. სომხებს გააჩნდათ, აგრეთვე, ძალიან მდიდარი სასულიერო ცენტრები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეჩმიაძინის საკათალიკოსო, რომელიც ამ დროისათვის ყველა გრიგორიანი სომეხის თავისი გავლენის ქვეშ მოქცევას ცდილობდა. ამდენად, მიუხედავად თავისი დაქსაქსულობისა, სომეხი ერი კარგ ფინანსურ შესაძლებლობებს ფლობდა.

სომხური სასულიერო და ფინანსური წრეები, ყველა შესაძლო ვარიანტის გამოყენებით ცდილობდა დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. XVIII საუკუნის II ნახევარში განსაკუთრებით პოპულარული გახდა ამ მიზნის რუსეთის ძლიერი იმპერიის დახმარებით განხორციელება. ეს პროცესი ამიერკავკასიაში უნდა დაწყებულიყო. ამ იდეის ერთ-ერთი აქტიური სულისჩამდგმელი კათოლიკოსი სიმეონ ერევანცი იყო.

სიმეონ ერევანცი მრავალრიცხოვან სომეხ სასულიერო პირთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. როგორც სომეხი ისტორიკოსის პ. არუთინიანი მიუთითებს, იგი „იყო არა მარტო საეკლესიო, არამედ გამოჩენილი პოლოტიკური მოღვაწეც, რომელმაც XVIII საუკუნის სომხეთის ისტორიაში ძალზე დიდი როლი ითამაშა“ **(Ереванци, 1958: 5).**

„ეჩმიაძინში სიმეონ ერევანცის მოსვლით სომეხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში თვისობრივად ახალი ეტაპი დაიწყო. ეს მართლაც გამჭრიახი პოლიტიკოსი იმთავითვე შეუდგა დაუღალავ ბრძოლას ეჩმიაძინის სულიერი ძალაუფლების მთელ სომეხ ერზე გასავრცელებლად და სომხეთის სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა, სიმეონმა მაინც შეძლო ამ საქმისათვის მყარი საფუძვლის ჩაყრა. თანდათან სიმეონისეული წამოწყების გარშემო სოლიდური ძალები დაირაზმა და მან სომეხთა ფართო მასები მოიცვა“ **(ჯიბაშვილი, 2013: 308-309).**

მომავალი კათოლიკოსი დაიბადა 1710 წელს ერევანში. თავდაპირველი განათლება მიიღო ეჩმიაძინში, შემდეგ კონსტანტინეპოლში. როგორც ეჩმიაძინის წმინდა საყდრისის მემკვიდრე, ის მოგზაურობდა სტამბულსა და მადრასში, რომელიც უკანასკნელ დროს სომხეთის ინტელექტუალური საქმიანობის მნიშვმნელოვანი ცენტრი იყო. ერევანცი 1763 წელს აირჩიეს ეჩმიაძინის კათოლიკოსად 1782 წლამდე. იგი ცნობილია როგორც რელიგიური, ფილოსოფიური და ისტორიული ნაშრომების ავტორი, 1771 წელს სომხეთში პირველმა გახსნა საბეჭდი და ქაღალდის ქარხანა. მანვე გააუმჯობესა მონასტრების სკოლა, რომელიც XIX საუკუნეში გახდა თეოლოგიური სწავლების ძირითადი ცენტრი. სიმეონ ერევანცმა 1773 წელს ოფიციალურად დააარსა რუსეთში სომხეთის ეპარქია, რომელსაც 1780 წელს ნოვო-ნახჩევანის ეპარქია ეწოდა **(https://ru.wikipedia.org/wiki/Симеон_Ереванци).**

სიმეონ ერევანცმა დიდი როლი ითამაშა სომეხთა საეკლესიო და ფინანსური წრეების რუსეთის იმპერიასთან მტკიცედ დაკავშირებასა და მათი თანამშრომლობის გაღრმავების საქმეში.

1767 წელს ეჩმიაძინის ელჩი დავით ვარდაპეტი დაუკავშირდა რუსეთის სომხური თემის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან წევრს, ასტრახანელ კომერსანტს მოვსეს სარაფოვს. ცოტა ხნის შემდეგ, 1769 წლის 8 ივნისს, მოვსეს სარაფოვმა საგარეო საქმეთა კოლეგიას წარუდგინა ძალზე საინტერესო პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სომხური ოლქების განთავისუფლებას და რუსეთის პროტექტორატის ქვეშ სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას **(Иоаннисян, 1945: 266-267).**

რუსეთთან სომხების თანამშრომლობას და ამ თანამშრომლობის საფუძველზე სომხური სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროექტს მხარს უჭერდა რუსეთში მცხოვრები მრავალრიცხოვანი მდიდარი სომხური სავაჭრო ფენა.

სომეხთა სასულიერო და სავაჭრო წრეების ინტერესებიდან გამომდინარე, ეჩმიაძინი რუსეთთან თანამშრომლობას მტკიცედ ჩაეჭიდა და მის ერთგულ მოკავშირედ გადაიქცა ამიერკავკასიაში. ამ კავშირს ეჩმიაძინის დავალებით პეტერბურგში კოორდინირებას უწევდა რუსეთში მოღვაწე სომეხთა არქიეპისკოპოსი იოსებ არღუთინსკი (არღუთიანი-არღუთაშვილი), რომელიც სიცოცხლის ბოლოს

ეჩმიაძინში კათოლიკოსადაც დაინიშნა. რუსეთში მცხოვრებ მდიდარ სომხებთან ერთად მან 1779-80 წლებში შეადგინა „სომხური სამეფოს აღდგენის პროექტი რუსეთის დახმარებით“, რომლის მიხედვითაც „სომხურ სამეფოს სათავეში უნდა ჩადგომოდა რომელიმე სომეხი წარჩინებული. თუ რუსები ამის წინააღმდეგ წავიდოდნენ, მაშინ სომეხთა მეფე უნდა ყოფილიყო თავადი პოტიომკინი!“ **(შუბითიძე, 2011).**

რუსი ისტორიკოსის პოტოს ცნობით, ფელდმარშალ გ. პოტიომკინს თავადაც სურდა გამხდარიყო სომხეთის პირველი მეფე და ამ სურვილს აშკარა აფიშირებასაც უკეთებდა **(Потто, 1886: 718-720).**

„XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან თვალშისაცემია რუს-სომეხთა ერთობლივი ქმედებანი საქართველოს დასუსტების და ერეკლე მეორის ავტორიტეტის და გავლენის დაცემის მიზნით. რუსეთი და ეკატერინე მეორე ყველანაირად ცდილობდნენ ქართლ-კახეთის გადაქცევას მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ და ქვეყნის შიგნით თუ გარეთ ძირგამომთხრელ საქმიანობას თითქმის ღიად აწარმოებდნენ.

ამ საქმეში მათი უმთავრესი დასაყრდენები იყვნენ მოღალატე ქართველები და განსაკუთრებით სომხები – ვაჭრები და საეკლესიო პირები. სწორედ მათ უბიძგეს ირანის შაჰს აღა-მაჰმად ხანს საქართველოს დაქცევისაკენ“ – წერს ისტორიკოსი ვაჟა შუბითიძე **(შუბითიძე, 2011).**

რუსულ-სომხურ ერთობლივ ანტიქართულ საქმინობას განსაკუთრებით ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი უსვამს ხაზს თავის წერილებში. როგორც იგი გადმოგვცემს, სომხებს დაზვერვის კარგად ორგანიზებული ქსელი ჰქონდათ, „ყოველ ქალაქებში და დიდრონ სოფლებში თავისი აგენტები ჰყავდათ“, რუსეთიდან იოსებ არღუთინსკის გამოგზავნილი ფული და დირექტივებიც ბლომად მოსდიოდათ და ნყოფიერადაც იღვწოდნენ ერეკლეს საზიანოდ **(ჯამბაკურ-ორბელიანი, 1914-a: 52).**

აღნიშნულ ტენდენციას საფუძველი სიმეონ ერევანცმა ჩაუყარა, ხოლო შემდეგ ეს საქმე ახალ სიმაღლეზე აიყვანა მისმა ერთგულმა მოსწავლემ იოსებ არღუთიანმა.

§.3. კრწანისის ტრაგედია ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის მიხედვით

XVIII საუკუნის II ნახევარში, როგორც ვნახეთ, ქართლ-კახეთის სამეფო პოლიტიკურ და ეკონომიკურ აღმავლობას ინარჩუნებდა. მხოლოდ აღა-მაჰმად ხანის შემოსევამ გაჯტეხა წელში აღმოსავლეთ საქართველო და, საბოლოო ჯამში, რუსეთის ხელში ჩააგდო იგი. ეს არ ყოფილა შემთხვევითი ფაქტი, არც ირანის სამხედრო ძალების უპირატესობის შედეგი ქართლ-კახეთის თავდაცვით ძალებთან შედარებით. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის გადმოცემით, აღა-მაჰმად ხანის გამარჯვება იყო შედეგი კარგად დაგეგმილი და განხორციელებული ღალატისა, რომელიც რუსეთიდან მართული სომხების ხელით განხორციელდა, თუმცა მასში მოღალატე თუ მოტყუებული ქართველებიც ბლომად ერივნენ.

ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანმა აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა საქართველოში 1844 წელს აღწერა და მასში ერეკლეს დამარცხების მიზეზები ფართოდ გააშუქა. ამავე პერიოდში გაეცნო იგი გიორგი მეფის ძის, თეიმურაზ ბატონიშვილის ნაშრომს, რომელიც იმავე თემას ეხებოდა. ალექსანდრე გაკვირვებული დარჩა, ვინაიდან მის ნაშრომსა და თეიმურაზის ნაშრომს შორის ცოტაოდენი მსგავსებაც კი არ იყო. ალექსანდრეს ჯ.-ორბელიანის რწმენით, თეიმურაზ ბატონიშვილი კრწანისის ომის მხილველი თუ არა, ეპოქის მონაწილე პირი იყო და, შესაბამისად, ჭეშმარიტება უნდა აღეწერა თავის ნაშრომში, თუმცა ფაქტი იყო, რომ იგი რატომღაც ცდილობდა არსებული რეალობის შეცვლას და მიჩქმალვას. ამ ფაქტს ალექსანდრე თავისებურად ხსნის. „ეტყობა რომ თავის მიზეზების გამო იმ ამბების ჩაჩქმალვა ნდომებია: ეგება იმ ამბებისა არავინ არა შეიტყოს რაო, ესეც რომ ჩვენიანებსაც ბევრი ძალიანი საგიებელი სიტყვები მოხვდებოდათო და ამასაც მორიდებია და ამიტომ ისე სხუა რიგით გადაუცვლია, რომელიცა ყოველი ამ გვარი ამბები უთუოთ გული ახდით სწორეთ უნდა დაიწეროს და დაუფერებით“ – წერს (**ჯამბაკურ-ორბელიანი, 1895: 7**).

„ჩვენიანებს“ ანუ სამეფო სახლისა და ქართლ-კახეთის არისტოკრატიის წარმომადგენლებს მართლაც მიუძღოდათ ბრალი ერეკლეს დამარცხებაში, მაგრამ, ალექსანდრეს ჯ.-ორბელიანის გადმოცემით, მთავარი დამნაშავეები „სომხების დასის“ წევრები იყვნენ. იგი განმარტავს, რომ იმდროინდელ საქართველოში

არსებობდა სამი დაფარული დასი, რომლებიც მეფე ირაკლის მოწინააღმდეგენი იყვნენ და ყოველმხრივ ცდილობდნენ საქართველოსათვის ძირი გამოეთხარათ.

აი რას წერს ისტორიკოსი: „საქართველოში სამი დაფარული დასი იყო წინააღმდეგი მეფის ირაკლისა: **პირველი დასი სომხებისა,** რომლებთანაც სომხების არაჩნურთს[1] (მასუკან ორქივატერი, ეჩმიაწინის პატრიარქი) იოსებ არღუთიანს შეერთება ჰქონდა რუსეთიდგან. ამ სომხების დასმა ყოველი საქართველოს ამბავი კარგად იცოდა და სამეფო სახლისა, რომელთაცა ყველგან ჩუმი აგენტები ჰყვანდათ; თვითონ ხომ თავისით საქმომბდნენ და იმ მეფის ირაკლის უკმაყოფილო დასსაც ძალიან ხელს უმართავდა, მეფის ირაკლის დაღუპვაში (ის უკმაყოფილო დასი აქ მესამე დასად არის ხსენებული). მაგრამ უფრო სწორეს გარკვევისათვის, ჯერ ეს უნდა ვსთქვათ, რომ როდისაც მეფე ვახტანგ და ბატონიშვილი ბაქარ (მეფის ვახტანგის შვილი) რუსეთში გარდაიცვალნენ, მას უკან იმათ მოადგილედ არაჩნურთი იოსებ არღუთიანი იყო საქართველოს დასაღუპად და დაღუპა იმან იმ ზოგიერთის სომხებითა, საფუძვლამდინ“ **(ჯამბაკურ-ორბელიანი, 1895: 9).**

სომხები იმიტომ ცდილობდნენ ქართლ-კახეთის დასუსტებას, რომ ამ გზით ერეკლეს რუსეთის მორჩილს გახდიდნენ და ამიერკავკასიასი შემოსვლას გაუადვილებდნენ მას. რუსეთის ამიერკავკასიაში დამკვიდრებას კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სომეხთა გარკვეული წრეები თავისი სახელმწიფოებრიობის აღდგენას უკავშირებდნენ. სომხები მარტო არ ყოფილან ამ ავ განზრახვაში.

ჯამბაკურ-ორბელიანის სიტყვით, „**მეორე დასი იყო თ. გარსევან ჭავჭავაძისა** მეფის ირაკლისაგან ამაღლებული ყოვლისფრითა, რომელიცა დიდად ცდილობდა საიდუმლოთ, რომ საქართველო რუსეთის ქვეშევრდომი ყოფილიყო“ **(ჯამბაკურ-ორბელიანი, 1895: 9).** მისი ეს მცდელობები შეუმჩნევეი არ დარჩენილა. მკვლევარ თამარ ყურაშვილის აღნიშვნით, „1786 წელს გარსევან ჭავჭავაძე ვაჟის მამა გახდა. ბავშვს სახელად ალექსანდრე დაარქვეს. როგორც ბოროტი ენები ამბობდნენ, გარსევანმა მხოლოდ ერთი ვაჟი შესძინა საქართველოს, სამაგიეროდ კი, დამოუკიდებლობა დააკარგვინაო“ **(ყურაშვილი)**.

„და მესამე დასი იყო უკმაყოფილო დასი მეფის ირაკლისა. ისინი საქართველოში და იმერეთში დადიოდნენ და მეფეს ირაკლის უმტერებდნენ ხალხსა

[1] არაჩნურთი სომხურად ეპისკოპოსს ნიშნავს

– ეს ქსნის ერისთვიანები. სხუების სახელებიც ხომ ზევით გავიგონეთ და სარდალი თ. ივანე ორბელიანიც იყო გარეული თავის ბიძაშვილებითა, რომლებსაცა დიდი ერთობა ჰქონდათ იმ სომხებთან და ესენი ატყუებდნენ იმათ ყოველს თავის განძრახვებში – ის სომხები“ – დანანებით ამბობს ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი **(ჯამბაკურ-ორბელიანი, 1895: 9).**

ამდენად, მესამე დასში შედიოდა ყველა ის პიროვნება, რომელიც მეფე ირაკლით უკმაყოფილო იყო. კრწანისის ომის დროს ისინი კარდაკარ დადიოდნენ და ცრუ ინფორმაციას ავრცელებდნენ, რითაც მტრის წისქვილზე ასხამდნენ წყალს. ესეთები მრავლად იყვნენ, მაგ. ქსნის ერისთავები, ივანე ორბელიანი, რევაზ ანდრონიკაშვილი და სხვ. ქსნის ერისთავები მანამდეც გამოირჩეოდნენ ერეკლესადმი მტრობით. მაგ. გიორგი ქსნის ერისთავი ყულარაღასი, ხშირად ეურჩებოდა ერეკლე მეორეს და დაქირავებული ლეკთა რაზმებით თავს ესხმოდა ქართლის სოფლებს, რის გამოც მეფემ შეიპყრო და გაუუქმა საერისთავო, რომელიც შემდეგ გადაეცა იულონ და გიორგი ბატონიშვილებს **(კალანდია, 2016: 2).**

ჯამბაკურ-ორბელიანის მტკიცებით, ქართლ-კახეთში არსებულ მეხუთე კოლონას „სომხების დასი“ ხელმძღვანელობდა და საჭიროებისამებრ წარმართავდა მათ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას. „რასაკვირველია, – ამბობს იგი, – ამის დამწყობნი სულ სომხები იყვნენ მეფის ირაკლის მახლობელნი და გიორგისა. თვითონაც ხომ საქმეებში იყვნენ, მაგრამ მომეტებულად სხვას ასაქმებდნენ და გაბრიყვებულნი ყვანდათ... იმათ ორქივატერის[2] კაცები მოსდიოდათ და მისდიოდათ ერთმანეთსა საქართველოს დამხობისა, სადაც ყოველ ქალაქებში და დიდრონ სოფლებში თავისი აგენტები ჰყვანდათ და ურევდნენ წრფელსა ქართველებსა და რასაც მოიწადინებდნენ, უთუოდ შეასრულებდნენ კიდეც. ფულიც ბევრი მოსდიოდათ ორქივატერისაგან იმ სომხებსა. მე აქ მოკლედ ვამბობ, თორე ამბავი დიდი არის“ **(ჯამბაკურ-ორბელიანი, 1914-a: 42-52).**

„სომხების დასის“ ხელმძღვანელობით მოქმედი ანტისახელმწიფოებრივი ძალების დამსახურება იყო სწორედ კრწანისის მარცხი, სწორედ მათი დახმარებით გაიმარჯვა ერეკლეზე აღა-მაჰმად ხანმა.

[2] მაშინ რუსეთში მოღვაწე არქიეპისკოპოსი, შემდგომში ეჩმიაძინის პატრიარქი იოსებ არღუთიანი

„აღა-მაჰმად ხანის საქართველოზე თავდასხმის საფრთხე ჯერ კიდევ 1791 წელს წამოჭრილა“ **(ცინცაძე, 1969: 90).** ერეკლე მეფე ამ დროიდან ემზადებოდა მასთან შესახვედრად და თან რუსეთს აყენებდა საქმის კურსში, რომ გეოგევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული დახმარება დროულად მიეღო. რუსეთში კი ამ დროისათვის ერეკლეს დასუსტება უფრო აწყობდათ და სომხებისა და მოღალატე ქართველების ხელით ამისათვის ნიადაგს ამზადებდნენ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის წერილები ამის დასტურია.

ომისათვის ემზადებოდა აღა-მაჰმად ხანიც. 1790-იანი წლების დასაწყისში ელჩობებიც გამოგზავნა საქართველოში იმ მიზნით, რომ იქნებ ერეკლე მეორე უბრძოლველად დანებებოდა აღა-მაჰმად ხანს. თუმცა შაჰი იმასაც ხვდებოდა, რომ ერეკლე მეფე არ იყო ხელწამოსაკრავი პიროვნება, მითუმეტეს სამხედრო საქმეში და იგი 5 წლის განმავლობაში, შეიძლება ითქვას, ხელსაყრელ დროს ელოდებოდა ბრძოლის წამოსაწყობად, როცა პოზიციურადაც და რიცხობრივადაც ერეკლე ცუდ მდგომარეობაში იქნებოდა **(თაბუაშვილი, 2012).**

1794 წელს აღა-მაჰმად ხანის მოსალოდნელი შემოსევა აშკარა გახდა. ამ დროისათვის ერეკლე მეფე იმერეთსა და ჭარ-ბელაქანს თავის მოკავშირედ მიიჩნევდა და უფრო გულდამშვიდებულად იყო **(ჯამბაკურ-ორბელიანი, 1895: 14).** იგი აქტიურად შეუდგა მზადებას მტერთან დასახვედრად. ა.ჯამბაკურ-ორბელიანის გადმოცემით, „დაუყოვნებლივ მეფე ირაკლიმ ბატონიშვილები, დიდრონი კაცები და პირუელი თათრის აღალარები მოიწვია“ და მათთან სამხედრო თათბირი ჩაატარა, თუ როგორ დახვედროდნენ მტერს.

ერეკლეს ჯერ თათბირის მონაწილეთა მოსაზრებები მოუსმენია (ამათგან განსაკუთრებით სარდალ დავით ჯამბაკურ-ორბელიანის და ყაზახის ვექილის ფანააღას გეგმები მოსწონებია), შემდეგ კი თავისი ჩანაფიქრი გაუცვნია მათთვის: „მე მინდა აღა-მამად-ხან და იმის ჯარი ასე წავახდინო, – უთქვამს ერეკლე მეფეს, – რომ საქართუელოდგან ერთი მოანბე ყიზილბაში ვეღარ გავიდეს, მასუკან რაც მინდა, სპარსეთს იმას ვაქნევინებ. მე აღა-მამად-ხანს არსად არ შევებმი, მოვიყუან სოღალუღს, იქით მინდორში ჩამოვახდენ მტკუარის მახლობლად. ამ დროს მეც სოღალუხიდგან მცირეს ჯარს დავანახუებ, მითამ იმაზე მეტი ჯარი არა მყავს, რომ აღა-მამად-ხანის ჯარი უფრო გათამამდნენ, მაგრამ ოთხმოცი ათასზე მეტი ჯარი, ამ

ქალაქის მოახლოვოდ ანუ ამის გარშემო მეყოლება დაფარულს ადგილებში, რომლებიცა ის ადგილები ესენი არიან, და ან რა ერთიც ჯარები იქ იდგებიან, აი ეხლა გაიგონებთ: **ათიათასი** ჩუენი მეომარი სოღალუხის გაღმა ჭალაში იქნებიან დამალული, ყარაიაზის მხარეს. **ათიათას** მეომარსა დიახ ჩუმათ მოვატარებ და იალღუჯის ყელებში გავგზავნი, რომ დრომდისინ იქ იყვნენ დამალულნი. **ხუთიათას** მეომარსა გატეხილის ხიდისაკენ მალვით გავგზავნი, რომ ანასხლეტი ყიზილბაშის მეომარი იმათ არ გაუშონ. **ათიათას** მეომარსა სოღალუხის ყელებში დავაყენებ პირისპირ ყიზილბაშისა და მე დანარჩენის ჯარითა და თვრამეტის ზარბაზნითა ტაბახმელის გზაზედ გადვივლი თელეთისაკენ და გათენებისას ყიზილბაშის ჯარზედ მივალ და თვრამეტს ზარბაზნებს ერთად დაუშენ მოუწყუეტელათ, რომ ჯერ ამით ზარი დაეცეს ყიზილბაშებს; **ოციათას** ჩუენ მეომარსც შევატევებინებ და მე დანარჩენის ჯარით უკან შეუდგები. ამ დროს იქით იაღლუჯის ჯარი და აქეთი სოღალუხის ყელის ჯარი, სწორეთ ამ დროს გამოვლენ, და სამის მხრით გარს შემოვერტყმით ყიზილბაშის ჯარსა, რომ არსაითკენ არა ჰქონდეს გზა, თუ არ მტკვრისაკენ. ყიზილბაშების გაქცეულსა ჯარსა მივყუებით და მტკვარს მივაყენებთ. ამ დროს უეცრათ, **ათიათასი** ჩუენი მეომარი გაღმიდან ცეცხლს მოუკიდებენ ყიზილბაშის ჯარსა და სამის მხრიდგანაც ჩუენ მივაწვუებით. აქ მე დარწმუნებით ვიცი, აღა-მამად-ხანს ან ხელებ შეკრულს მოგვცემენ, ან თავის ჯარი მოჰკლავს და ან ჩუენი ჯარი ხელში ჩაიგდებს. იმასაც ვიტყვი, ყიზილბაშის ჯარი თოფიარაღს დააწყობს და სულერთიან დაგვმორჩილდებიან. ღვთით იმედი მაქუს, რომ უთუოთ დაგვმორჩილდებიან“ **(ჯამბაკურ-ორბელიანი, 1895:16-18).**

ყველამ ერთხმად მოიწონა მეფის რჩევა, თუმცა ლოგიკურია გაჩნდა კითხვა თუ სად ნახავდა მეფე დაახლოებით 80 ათას მეომარს, რაც იმ პერიოდისათვის წარმოუდგენელი იყო მხოლოდ საქართველოში შეკრებილიყო. თუმცა მეფემ განმარტა, რომ 25 ათასი ლეკი მოვა მათ დასახმარებლად, კახეთიდან და ქიზიყიდან 16 ათასი კაცი გამოვა, იმერეთიდან –10 ათასი, ქართლიდან – 10 ათასი, არაგვიდან და ჩერქეზიდან – 10 ათასი, ყაზახ-ბორჩალოდან და შამშადილოდან – 10 ათასი. „ესენი სულ კარგი ჯარი გამოვა და კარგი ვაჟკაცი. გარდა ამისა, – მსჯელობდა ერეკლე II, – რუსეთის ხელმწიფესა ვთხოვ ორიათას რუსეთის მხედრობასა და ექვს ზარბაზანსა; ამაზე მეტი რუსეთის მხედრობა ჩემთვის საჭირო არ არის, ესეც იმისთვის მინდა,

ჩუენი ჯარები იმათ რომ ნახუენ, უფრო თავს გამოიდებენ, თორემ არც კი ვაომებ მე იმათ“ **(ჯამბაკურ-ორბელიანი, 1895: 18-19).**

ერეკლე მეფის ეს მასშტაბური გეგმა რომ რეალურ საფუძვლებზე იყო შედგენილი და განხორციელებას ექვემდებარებოდა, კარგად ჩანს მკვლევარ ა. თაბუაშვილის ნაშრომში – „რამდენიმე უცნობი დეტალი ირანისა და ქართლ-კახეთის სამეფოს 1795 წლის დაპირისპირების შესახებ“ – დამოწმებული დოკუმენტების მიხედვით.

თაბუაშვილი წერს: „ჩვენ მიერ მოძიებული დოკუმენტი, რომელიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის Hd ფონდის №14261 საბუთს წარმოადგენს, ერეკლე II-ის მიერ აღა-მაჰმად ხანის აგრესიის მოსაგერიებლად გატარებული თავდაცვითი ღონისძიებების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს. ერეკლე II აზნაურ ქაიხოსრო მურვანიშვილისადმი გაგზავნილი წერილის დასაწყისში ეხება ყარაბაღის სახანოში გაგზავნილი ალექსანდრე ბატონიშვილის რაზმის ჯარისკაცებითა და სურსათით მომარაგებას, ჯაშუშების სათანადო ადგილებზე განწესებასა და სხვა საკითხებს“. შემდეგ მოჰყავს აღნიშნული დოკუმენტი, სადაც ერეკლე II აღნიშნავს: „...ღვთის მოწყალებით ამ ორსაოდ დღეში ან ჩვენ წამოვალთ (ყარაბაღში) ხუთი ექვსი ათასის კაცით და ან ჩვენს შვილს იულონს გამოვისტუმრებთ. ამ ხუთს ექვს ათასს კაცს რომ ვიწერებით ესენი ახლა აქ გზას არიან და დღე დღეობით ემატებიან. ესენი ქართლისა და კახეთის ჯარი არის. ჯერ მთის კაცნი და უცხოს ქვეყნის ჯარები არ მოგვსვლიან. დაბარებულნი არიან და მოველით. და ჯერ ქართლისა და კახეთის ჯარი არცა მესამედი მოსულა და არც მთის კაცნი მოსულან, ჯერ არც იმერლები და არც ლეკები და ჯერ ღვთის მოწყალებით იმგვარი ამბავი არა არისრა“ **(თაბუაშვილი, 2012).**

მოტანილი ციტატიდან მტკიცდება, რომ ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი სიმართლეს ამბობს, როცა მიუთითებს რომ გეგმის მიხედვით, ქართლ-კახეთის ჯარების გარდა, ერეკლეს იმერლები, ჩერქეზები და თვით ლეკებიც უნდა მიშველებოდნენ.

მის ხელთ არსებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით თაბუაშვილი ასაბუთებს, რომ „1795 წლის ივნისის ბოლოსათვის ერეკლე II-ს მხოლოდ ქართლ-კახეთიდან, დაახლოებით, 14-15 000 კაცის მობილიზება მოუხდენია ... ყარაბაღიდან ახლად

დაბრუნებული ალექსანდრე ბატონიშვილი უკვე 8 ივლისს მობილიზებას უკეთებს მის მიერვე ყარაბაღიდან ჩამოყვანილ მომთაბარე ელებს ყაზახსა და შამშადილუში“ ... ხოლო „ივლისის თვეში თბილისში მართლაც უნდა შემოსულიყო იმერეთის ჯარი, რომელიც 4000-მდე მეომარს ითვლიდა“. „როგორც ვხედავთ, – ასკვნის იგი, – 1795 წლის ივნის-ივლისში ერეკლე II-ს, დაახლოებით, 20 000-კაციანი არმიის მობილიზება მოუხერხებია“ **(თაბუაშვილი, 2012).** თანაც მობილიზაცია კიდევ გრძელდებოდა ქართლ-კახეთის მთიანეთში, იმერეთში, ჩერქეზეთ-დაღესტანში.

ერეკლეს მზადების შესახებ ინფორმაციები აღა-მაჰმად ხანთან იოლად მიდიოდა. როგორც ჩანს, მას ვეღარ გაუბედავს ასეთ პირობებში საქართველოზე თავდასხმა და, ერეკლეს შეცდომაში შეყვანის მიზნით, უკან გაბრუნების იმიტაცია გაუთამაშებია, რაც ერეკლეს შტაბს რეალურ გაქცევად მიუღია. პროცესების ასეთ განვითარებაში ორბელიანის მიერ აღწერილი მეხუთე კოლონის წვლილიც უნდა დავინახოთ. შემდეგ მოვლენებს ა. თაბუაშვილი ასე აღწერს:

„როგორც ჩანს, აგვისტოს დასაწყისში აღა-მაჰმად ხანის მოჩვენებითმა წარუმატებლობამ თავისი შედეგი გამოიღო და ქართველებმა ძალები მოადუნეს. ამავე დროს, ერეკლე II-ს რუსეთიდან დამაიმედებელი ცნობები მოსდიოდა. კავკასიის ხაზის გენერალი გუდოვიჩი გამორიცხავდა ირანელთა თბილისზე ლაშქრობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ერეკლეს დახმარებას ჰპირდებოდა. თანაც ზამთარი ახლოვდებოდა. ქართველი სარდლობა დარწმუნდა, რომ სპარსელები ამჯერად თბილისზე სალაშქროდ აღარ მოდიოდნენ და ჯარების დიდი ნაწილი დაითხოვა. ამ დროს უნდა დაეთხოვათ იმერელთა ის დაჯგუფება, რომელსაც ქაიხოსრო წერეთლი ხელმძღვანელობდა, დაღესტნელები (რომლებიც კრწანისის ბრძოლაში არ მონაწილეობდნენ) და ქართლ-კახეთის ჯარების ნაწილები... ერეკლე II-მ მხოლოდ 2000-კაციანი იმერეთის სამეფოს ჯარი და 2500 კაცამდე საკუთარი ჯარის ნაწილები დაიტოვა“ **(თაბუაშვილი, 2012).**

თავისი მზვერავების თუ ერეკლეს შინაური მტრების საშუალებით აღა-მაჰმად ხანი ყველაფრის საქმის კურსში იქნებოდა, აი ერეკლეს კი აშკარად ყალბ ინფორმაციას აწვდიდნენ. ირანელებმა ისარგებლეს ასეთი მდგომარეობით და მოულოდნელად, სწრაფი მარშით საქართველოზე წამოვიდნენ. ერეკლე შეეცადა, დაშლილი ჯარები ისევ შემოეკრიბა, მაგრამ, როგორც ამას ალ.ჯამბაკურ-ორბელიანი

აღწერს, „სომხების დასისა“ და შიდამოღალატეების წყალობით, დროულად ამ საქმის მოგვარება აღარ მოხერხდა.

„მოიმედე მეფე ირაკლი, რომ ოცს აგვისტოს სულ ერთიანად ჩუენი ჯარები ქ. ტფილისში უნდა შეიყარნენო, 23 აგვისტოც მოვიდა, არავინ იყო ქალაქში. მეფე წყენას მიეცა და ოტხსავ კუთხით მსრბოლელები გაგზავნა, მაგრამ ყუელგან ესმაკები იყვნენ დამკვიდრებულები და ეშმაკურის ცბიერებით მოიშორეს. ამის პასუხები მოუვიდა მეფეს, ზოგი აგვისტოს გასულს, ზოგი სექტემბრის დამდეგს, რომ უთუოდ ამ ორ-სამ დღეზედ მოვლენ ჯარებიო. ამის იმედით წავიდა წინ თავის ოთხი ათასისა კაცით და მეფე სოლომონიც სამი ათასისა იმერელითა“ **(ჯამბაკურ-ორბელიანი, 1895: 14).**

აღა-მაჰმად-ხანმა საქართელოში შემოსვლამდე ერეკლეს კვლავ ელჩი გამოუგზავნა, რომელიც იუწყებოდა, რომ ჯერ კიდევ არ იყო გვიანი ომის თავიდან აცილება და მეგობრული კავშირის დამყარება ირანთან. ამისათვის საკმარისი იყო ერეკლეს უარი ეთქვა რუსეთის ქვეშევრდომობაზე და ერთგულების დასამტკიცებლად ყაენისთვის შვილი და შვილიშვილი მძევლად გაეგზავნა. ერეკლე კი რუსეთთან კავშირზე ხელის აღებას არ აპირებდა. მან ელჩი დააპატიმრებინა და თბილისში, ქალაქის მელიქთან, დარჩია ბებუთაშვილთან გაგზავნინა, რათა ელჩს ქართველთა მცირერიცხოვნება არ ეცნობებინა ყიზილბაშებისათვის **(ჯამბაკურ-ორბელიანი, 1895: 22).**

ბრძოლის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, შაბათს, შუადღისას ერეკლე თბილისში შევიდა იმ იმედით, რომ დამხმარე რაზმები დახვდებოდა, თუმცა უარესის მომსწრე გახდა, ნახევარი ქალაქი აყრილიყო და მთებში გახიზნულიყო, რადგან მეფის მტრებმა ხმები დაარხიეს, მეფე ერეკლე და სოლომონიც ალყაში მოახვედრეს ყიზილბაშებმა და წაახდინესო. ამ უბედურებას ისიც დაემატა, რომ შაბათ ღამით რევაზ ანდრონიკაშვილმა 2-ათასი ქიზიყელი მეომარი მოტყუებით ჩამოაშორა ერეკლეს ისედაც მცირერიცხოვან ჯარს და ქაზიყში წაიყვანა, ვითომც გიორგი ბატონიშვილთან ქიზიყის დასაცავად **(ჯამბაკურ-ორბელიანი, 1895: 22-26).**

როცა ერეკლეს არსებული ვითარება მოახსენეს, „თუმცა დიდათ ეწყინა, მაგრამ მაინც არ შეშინდა და თავის გუარად გამაგრებული იყო“. მის ხელთ დარჩენილი ხუთიოდე ათასი მებრძოლი პოზიციებზე განალაგა და თავგანწირული ბრძოლა გაუმართა მტერს. მცირერიცხოვანი ქართველობა ისეთი შემართებით ომობდა, აღა-

მაჰმად ხანს უთქვამს: „როგორიც ქართველების ვაჯკაცობა გამეგონა, იმაზედ უკეთესნი ყოფილანო“. იგი ახალახალ რაზმებს გზავნიდა წინა ხაზზე, მაგრამ ქართველებს უკან ვერ დაახევინა. ამასობაში თავად ერეკლე მეფე, უკანასკნელი ხუთას კაციანი რეზერვითა და „აზატხანის დამმარცხებელი ბაირახის“ ფრიალით გადაეშვა ბრძოლაში **(ჯამბაკურ-ორბელიანი, 1895: 26-29).**

ჯამბაკურ-ორბელიანი შთამბეჭდავად გადმოგვცემს ბრძოლის ამ მონაკვეთს: „ერთ მხარეს ბაირახზე გამოსახული იყო ღვთისმშობელი თავის ძითა და მეორეზედ წმინდა გიორგი, რომელსაცა ვეშაპი გაეგმირა შუბით. ამ გაფრიალებულის ბაირახით გაექანა მეფე და უკან ის თავისი მეომრები გულადად მიჰყვნენ მეფე სოლომონითურთ. წარმოიდგინეთ, მეფე ირაკლი იმათში არ იყო გარეული, ისე ომობდნენ და როცა გაერია, რანი შეიქმნებოდნენ ქართულ-იმერლები? თავის საყუარელი მოხუცებული მეფე რომ დაინახეს, ნამეტნავად იმ გაფრიალებულის ბაირახითა და მეფე სოლომანიც იმათში, ასე ეგონათ მეორე სიცოცხლე მოგვემატაო. რანიც იყუნენ, ერთი სამათ შეიქნენ. ორთავ მეფეს გვერდს ამოუდგნენ და ყიზილბაშთ ზედ დაასხდნენ“ **(ჯამბაკურ-ორბელიანი, 1895: 29).**

ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენიათ ქართველებს აღა-მაჰმად ხანზე, რომ მას უთქვამს: „ხვალ კიდევ შევებმი და თუ ხუალაც ეს საქმე მიყო მეფე ირაკლიმ, რაც დღეს ქნა, მაშინუე ავიყრები და ჩემს ქუეყანაში წავალო“ **(ჯამბაკურ-ორბელიანი 1895: 30).** 2-3 ათასი რეზერვი რომ ჰყოლოდა ერეკლე მეფეს მომდევნო დღისთვის, კრწანისის ომი ალბათ სულ სხვაგვარად დამთავრდებოდა. მას ახლო-მახლო სოფლებში მეომრების მოკრება კიდევ უცდია, მაგრამ ამაოდ, ერეკლესა და ქვეყნის მტრებს ყალბი ხმები უკვე დაეყარათ, რომ „საჩქაროთ აიყარენით, რომ ორასის ათასის კაცით აღა-მამად-ხან მოვიდა ყაზახში, მეფე ირაკლი ერთიანათ ჯარით წაახდინა და ახლა საქართუელოზე მოდისო“; მოსახლეობაც „სულ ერთიანად აყრილიყვნენ და ტყეებში გაფანტულიყვნენ“ **(იქვე).**

მიუხედავად იმისა, რომ ერეკლემ თავისი ჯარის შევსება ვერ მოახერხა, არა-მაჰმად ხანი მაინც ისე შეაფიქრიანა ქართველების ძლიერმა წინააღმდეგობამ, რომ ბრძოლის დაწყებიდან მესამე დრეს ირანში გაბრუნება გადაწყვიტა. თავისი გადაწყვეტილება ირანის შაჰს, ორბელიანის გადმოცემით, ასე დაუსაბუთებია: „მეფე ირაკლი ნადირშას გაზრდილია, მე იმან ომი არსაც არ დამიწყო, მომიყუანა თავის

ქალაქის პირში, ორი დღე ძალიანი ომი გვქონდა და ვერა დავაკელით-რა; ეტყობა მეფეს ირაკლის დიდი ჯარი ჰყავს იმ ხევებში დამალული და მე კი განგებ ცოტას მაჩუენებს, თორემ თუ ცოტა ჯარი ჰყუანდეს, ამ საქმეს ვერ მიზამდა. მე ვხედავ, მეფე ირაკლი ასეთ საქმეს მიპირებს, თუ არ წავედი, ბოლოს ვინანო?“ **(ჯამბაკურ-ორბელიანი 1895: 37).**

აღა-მაჰმად ხანი მართლაც გაბრუნებულა უკან, მაგრამ ვინმე არტემ არარაცკის მიზეზით ისევ თბილისისკენ მობრუნდა. როგორც ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი წერს, „არაჩნურთის ოსეფა არღუთოვისაგან იყო ერთი შემოჩენილი რუსეთიდგან არტემ არარაცკი მეფის ირაკლისა და საქართუელოს დასაღუპად... სომხურად ერქუა იმას არუთინ არარაციან და რუსულათ არტემ არარაცკი შეიქნა“ **(ჯამბაკურ-ორბელიანი 1895: 33).** სწორედ ამ არარაციანმა, ასევე სომეხ, ქალაქის მელიქ დარჩო ბებუთაშვილთან შეთანხმებით, პატიმრობიდან გააპარა ირანელი ელჩი, „თვითონ თავის მოსყიდულის სომხის კაცებით უბელადა ელჩსა“ და აღა-მაჰმად ხანთან მიიყვანა. აქ ორივემ დაარწმუნა შაჰი, რომ ერეკლეს მცირე ჯარი ჰყავდა და გამხნევებული ირანელები კვლავ საომრად მობრუნდნენ **(ჯამბაკურ-ორბელიანი 1895: 36-37).**

მცირერიცხოვანმა ქართველებმა ვეღარ გაუძლეს მტრის მოწოლას და დამარცხდნენ. თბილისი აღა-მაჰმად ხანმა დაიკავა. დახოცეს ან ტყვედ წაასხეს მრავალი ქართველი, დაანგრიეს და გაძარცვეს დედაქალაქი. ნიშანდობლივია, რომ სპარსელებმა არ დაანგრიეს სომხური ეკლესიები. ასე გადაუხადეს მადლობა სომხებს გაწეული სამსახურისა და ქართველთა ღალატისათვის.

„სომხების დასისაგან“ მოსყიდულმა ქართველმა დიდებულებმა ერეკლე მეფისადმი ჩადენილი ღალატი მერე კი ინანეს, როცა კრწანისის მარცხის შედეგად ქართლ-კახეთის სამეფომ დამოუკიდებლობა დაკარგა, მაგრამ გვიანი იყო. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი აღნიშნავს, რომ თავის ნათესავ ასლან ორბელინისაგან, რომელიც გარეული იყო ერეკლეს საწინააღმდეგო შეთქმულებაში, ხშირედ გაუგონია ასეთი რამ: „არ ვიცით რამ დაგვაბრმავა, ისე რათ შევიკარით, რომ ვეღაფრისთანას ვეღარას ვხედავდით? მთელი საქართუელო ისე რათ იყო მოწადინებული მეფე ირაკლი დაიღუპოს და გაუკითხავათ კიდეც დავიღუპეთო. როგორც ბოლო დროს შევიტყე და წვრილათ მიანბეს, რაც საქართუელოს მოუვიდა

სულ სომხებისაგან, სხუას ნურავის დავაბრალებთ. ისინი ჩუენის ხელით ნარსა გლეჯდნენ, ჩუენ იმათი იარაღი ვიყავითო“ **(ჯამბაკურ-ორბელიანი, 1914-a: 44).**

როცა სომხები ყველანაირად ხელს უწყობდნენ აღა-მაჰმად ხანს ქართლ-კახეთის დამარცხებაში, ამით ისინი თავის საქმეს იკეთებდნენ: მათ სურდათ დასუსტებულ საქართველოში რუსეთი ადვილად დამკვიდრებულიყო და შემდეგ, სანაცვლოდ, მათთვის სომხეთის სახელმწიფოებრიობა აღედგინა.

სიმონ ქვარიანი წერს: „სომეხთა წარჩინებულმა პირებმა თვით იოსებ არღუთაშვილის თაოსნობით თავის პოლიტიკით და მეცადინობით ძლიერ შეუწყვეს ხელი ივერიის სამეფოს სიკვდილს და რუსეთის ბატონობის დამყარებას მთელ საქართველოში ... იოსებ არღუთაშვილს და მის მომხრეთ სურდათ რუსის იარაღით და ქართველთა სისხლით აღედგინათ სომხეთის სამეფო ... ივერიის ნანგრევებზე მათ სურდათ აღედგინათ თავისი ბედნიერება, ამიტომაც ეგებებოდნენ ისეთი აღტაცებით რუსის ბატონობას საქართველოში და უწყობდნენ ხელს ყველაფერში“ **(ქვარიანი, 1919: 40).**

ამავეს ამბობს მღვდელი პ. კარბელაშვილი 1916 წლის აგვისტოში გაზეთ “სამშობლოს” ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიათა ციკლში “სომხები საქართველოში” (ისტორიული საბუთები), „სადაც ამხელს სომეხთა უზნეობას, ვერაგობას და ღალატს საქართველოს მიმართ. იგი წერს, რომ სომხების პატრიარქი იოსებ არღუთინსკი, თბილისის სომხობა ნატრობდნენ სომხეთის სამეფოს აღდგენას და ამიტომ ერეკლე II-ის გაძლიერება არ ეპიტნავებოდათ. პირიქით, ხელს უმართავდნენ რუსეთის გავლენის გაძლიერებას და საქართველოს დაუძლურებას. ვინ ჩამოაცილა კრწანისის ომის წინ ერეკლეს ყარაბაღელი სომხობა? სვამს კითხვას პ. კარბელაშვილი და მიუთითებს, რომ ეს გააკეთეს თბილისელმა სომხებმა, რომ მათი დახმარებით ერეკლე II არ გაძლიერებულიყო“ **(შუბითიძე, 2011).**

„ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებაში განსაკუთრებით საძრახისი როლი შეასრულა სომეხთა კათალიკოსმა იოსებ არღუთინსკიმ. სწორედ მისი თაოსნობით და მეთაურობით თბილისელმა სომხებმა სიონის ტაძარში ქართველთა იძულებით დაფიცებამდე ადრე თავისი ნებით, დიდი ზეიმით (74 მღვდლის, 8 არქიმანდრატის, მრავალი სომეხის თანდასწრებით) ვანქის საკრებულოში დიდი პარაკლისი

გადაიხადეს ქართლ-კახეთის სამეფოს მოსპობის აღსანიშნავად“ – წერს მკვლევარი ვაჟა შუბითიძე **(შუბითიძე, 2011).**

ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანიც თავის წერილებში არაერთგზის მიუთითებს, რომ სწორედ იოსებ არღუთიანი იყო ის პიროვნება, ვისი ხელმძღვანელობითაც „სომხების დასმა“ ზურგში მახვილი დასცა აღა-მაჰმად ხანის წინააღმდეგ მებრძოლ ქართლ-კახეთს და ამით თავისი საქმე გაიკეთა აღმოსავლეთ საქართველოში.

„მეფის გიორგის შინაურმა სანდო მდივანმა ელიაზარ ფალავანდიშვილმა მითხრა, – აღნიშნავს ალექსანდრე, – ორქივატერი იოსებ საქართველოში რომ მოვიდა, ჩვენი პირველი თავადები მისულიყვნენ იმასთან სანახავად, სხვადასხვა ლაპარაკში ეთქოთ იმისთვის გულის წრფელითა: თქვენო უწმინდესობავ, მართლა თქუენის დახმარებით წამოვიდა აღა-მაჰმად-ხანი საქართველოზე? იმას ხუმრობით გაეკეთებინა და გაცინებით ეთქვა: ეგ მართალი რათ იქნება, მაგრამ ამას იქით ჩვენ სომხები უნდა ვიყვნეთ საქართველოში და საქართველო ჩვენი უნდა იყოსო. თუმცა ორქივატერმა ხუმრობით თქუა, მაგრამ კი მართალი თქუა. სწორეთ მართალია. სწორეთ თავიანთთვის უნდათ საქართველო. ჯერ ჩუენ წაგვახდინონ და მასუკან ჩუენის წახდენითა ისინი გაძლიერდენო. ელიაზარ ფალავანდიშვილის სიტყვა არის ესა“ **(ჯამბაკურ-ორბელიანი, 1914-a: 50-51).**

ასე აფასებს ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი სომხების როლს ქართლ-კახეთის სამეფოს დაცემის საქმეში.

დასკვნები

ირანის უკანასკნელი დიდი მბრძანებელი – ნადირ-შაჰი 1747 წელს შეთქმულებმა ხორასანში გამოასალმეს სიცოცხლეს. ირანი ანარქიამ მოიცვა, რასაც

პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებო მოჰყვა. თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ისათვის, რომლებსაც აღმოსავლეთ საქართველო პრაქტიკულად უკვე გაერთიანებული ჰქონდათ, ხელსაყრელი დრო დადგა დამოუკიდებელი პოლიტიკის საწარმოებლად. მამა-შვილი აქტიურად ჩაება როგორც ირანის ტახტის მაძიებელთა, ისე ამიერკავკასიაში ჰეგემონობისათვის გამართულ ბრძოლებში და 40-50-იან წლებში სერიოზულ წარმატებებსაც მიაღწიეს.

ამიერკავკასიაში ქართლ-კახეთის სამეფო მყარ პოზიციებს 1760-70-იან წლებშიც ინარჩუნებდა. ამ დროისათვის აღმოსავლეთ ქართულ სამეფოს ერთპიროვნული ერეკლე II განაგებდა. წარმატებით მიმდინარეობდა ქვეყნის შემდგომი განვითარების პროცესი, რასაც ხელს უწყობდა, ერთი მხრივ, ირანისა და ოსმალეთის პოლიტიკური და ეკონომიკური დაძაბუნება, მეორე მხრივ კი რუსეთის იმპერიის ჯერ კიდევ არასაკმარისად მყარი პოზიციები კავკასიაში.

XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში რუსეთის წინაშე ამიერკავკასიაში დამკვიდრების საკითხი დადგა. რუსულმა პოლიტიკამ დასახული ამოცანის გადაჭრა ქართლ-კახეთის სამეფოს გამოყენებით სცადა. ზემოქმედების აშკარა თუ ფარული საშუალებების გამოყენებით ერეკლე II აიძულეს 1783 წელს გეორგიევსკის მფარველობითი ტრაქტატი გაეფორმებინა რუსეთის იმპერიასთან. მალე კი რუსმა პოლიტიკოსებმა ქართლ-კახეთის სამეფოს დასუსტებისა და უმტკივნეულო ინკორპორაციისათვის დაიწყეს ნიადაგის მომზადება. გაძლიერდა პრორუსული ძალების მოქმედება ქართლ-კახეთის ტერიტორიაზეც. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის წერილებიდან კარგად ჩანს, რომ ამ საქმეში განსაკუთრებით სომხური წრეები გამოირჩეოდა. „სომხების დასი“ რუსეთიდან იმართებოდა და ქართლ-კახეთის დასასუსტებლად აქტიურად საქმიანობდა. საქართველოსათვის უარყოფითი როლი ითამაშა მან გეორგიევსკის ტრაქტატის დადების დროსაც. „სომხების დასის“ ანტიქართულ საქმიანობას რუსეთის დახმარებით ამიერკავკასიაში საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენის სურვილი განაპირობებდა. ამ იდეის ერთ-ერთი ავტორი სომეხთა კათოლიკოსი სიმეონ ერევანცი იყო, ხოლო მისი აქტიური გამგრძელებელი – რუსეთში მოღვაწე სომეხი სასულიერო პირი იოსებ არღუთიანი. რუსეთმა შეძლო აღა-მაჰმად ხანის საქართველოში შემოსევის პროვოცირება, ხოლო აქ მოქმედმა „სომხების დასმა“ და მათ მიერ მოსყიდულმა პირებმა ისეთი ვითარება

შექმნეს ქვეყანაში, ერეკლე მეფეს თავდაცვის არანაირი შანსი არ დაუტოვეს. კრწანისის ბრძოლაში ქართველების დამარცხებამ გახადა სწორედ შესაძლებელი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან მიერთება.

რუსულმა ხელისუფლებამ, რომელმაც კარგად იცოდა სომეხთა ბუნება და მისწრაფებები, შესანიშნავად გამოიყენა ისინი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების საქმეში. რუსეთსა და საქართველოში მცხოვრები სომეხი საეკლესიო პირებისა და დიდვაჭრების დახმარებით, რუსმა პოლიტიკოსებმა და სამხედროებმა შეძლეს რუსული ბატონობის დამყარება და განმტკიცება საქართველოში, ასევე, ბაგრატიონთა გასახლება რუსეთში.

რუსეთის ერთგულება და ქართველთა საწინააღმდეგო საქმიანობა სომხებს სათანადოდ დაუფასეს. XIX საუკუნეში ოსმალეთიდან და ირანიდან გადმოსახლებული ასი ათასობით სომეხი ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით კი საქართველოს მიწა-წყალზე დაასახლეს და ქართველებს დემოგრაფიული ანექსიაც მოუწყვეს.

ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანმა პირუთვნელად აღწერა XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოში მიმდინარე პროცესები და როგორც „სომხების დასის“, ისე მათ მიერ მოსყიდულ პირთა ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა. მაშინდელი მოვლენები წარსულის მწარე გაკვეთილი უნდა იყოს და კარგად გვახსოვდეს, რათა მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორდეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ანჩაბაძე, 2005:** – ანჩაბაძე გიორგი, „საქართველოს ისტორია. მოკლე ნარკვევი“, გამომც. „კავკასიური სახლი“, თბილისი, 2005.
2. **ბერძენიშვილი, 1965:** – ბერძენიშვილი ნიკო, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, II, თბილისი, 1965.
3. **ბერძენიშვილი, 1973:** – ბერძენიშვილი ნიკო, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, VI, თბილისი, 1973.
4. **ბერძნიშვილი, 1983:** – ბერძნიშვილი მ., „მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის“, ტ. II, თბილისი, 1983.
5. **გელაშვილი, 2018:** – გელაშვილი ა., „ერეკლე II“, გამომც. „პალიტრა L“, თბილისი, 2018.
6. **ვანახია:** – ვანახია ნინო, „ალექსანდრე ორბელიანის მსოფლმხედველობის ზოგიერთი საკითხი“, ინტერნეტ-მისამართი: http://www.bu.org.ge/x1282?navBack
7. **თაბუაშვილი, 2012:** – აპოლონ თაბუაშვილი „რამდენიმე უცნობი დეტალი ირანისა და ქართლ-კახეთის სამეფოს 1795 წლის დაპირისპირების შესახებ“, სპეკალი № 5 2012, ინტერნეტ-მისამართი: file:///C:/Users/Admin/Downloads/%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%20%E2%84%96%205%202012-%20apolon%20tabuashvili.pdf
8. **თაბუაშვილი, 2020:** – თაბუაშვილი აპოლონ, „ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია“, გამომცემლობა „კოლორი“, თბილისი, 2020.
9. **თარხან-მოურავი, 2017:** – თარხან-მოურავი გიორგი, „სომხეთი და საქართველო: მდგრადი ურთიერთობა“, 2017; ინტერნეტ-მისამართი: https://ge.boell.org/ka/2017/12/15/somxeti-da-sakartvelo-mdgradi-urtiertoba
10. **კაკაბაძე, 1914-a:** – კაკაბაძე სარგის, „წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის“, წ. I, ტფილისი, 1914.
11. **კაკაბაძე, 1914-b:** – კაკაბაძე სარგის, „მოგონებები ალექსანდრე ორბელიანისა თავის მამის ვახტანგ ორბელიანის შესახებ“, ტფილისი, 1914.
12. **კალანდია, 2016:** – გიორგი კალანდია, „ნიკოლოზ (კოლა) ერისთავის პირადი ფოტო არქივის აღწერილობა“, 2016-10-06, ინტერნეტ-მისამართი:

http://www.artpalace.ge/manager/public/files/news/2016-10-06%2013-26-251kola%20eristavi.pdf

13. **მორჩილაძე, 2013:** – მორჩილაძე აკა, „ქართულის რვეულები. XIX საუკუნის სურათები“, თბილისი, 2013.
14. **მახობეშვილი, 2014:** – მახობეშვილი გიორგი, „რატომ მოაკვლევინა თავი კახელ გლეხს ერეკლე მეფის სიძემ, ვახტანგ ორბელიანმა“, ჟურნ. „თბილისელები“, ინტერნეტ-მისამართი: http://old.tbiliselebi.ge/index.php?newsid=268441236
15. **საოჯახო ბიბლიოთეკა, 2009:** – საოჯახო ბიბლიოთეკა ოცდახუთ ტომად, ბიოგრაფიული პროზა, XIX საუკუნის ქართველი მოღვაწენი, პროგრამის ხელმძღვანელი და 25-ტომეულის მთავარი რედაქტორი ზ. აბზიანიძე, თბილისი, 2009.
16. **საქართველოს ისტორია, 1943:** – ჯავახიშვილი ივანე, ბერძენიშვილი ნიკო, ჯანაშია სიმონ, „საქართველოს ისტორია. უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე“, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები საშუალო სკოლებისათვის, სახელგამი, თბილისი, 1943.
17. **საქართველოს ისტორია, 2008: – „**საქართველოს ისტორია“, ნ. ასათიანის და გ. ჯამბურიას რედაქციით, II, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2008.
18. **საქართველოს ისტორია, 2012: –** „საქართველოს ისტორია“, III, საქართველო XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე, თბილისი, 2012.
19. **სინ, 1973: –** „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, IV, საქართველო XVI საუკ. დასაწყისიდან XIX საუკ. 30-იან წლებამდე, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973.
20. **ქვარიანი, 1919:** – ქვარიანი ს., „ქართველი ერის ისტორია“, XVIII-XIX საუკუნე, წ. I, ტფილისი, 1919.
21. **შუბითიძე, 2011: –** შუბითიძე ვაჟა, **„**სომხების როლი ქართული სახელმწიფოს დაცემის საქმეში“, 2011, ინტ. მისამართი: https://forum.ge/?showtopic=34855126
22. **ცინცაძე, 1969**: – ცინცაძე ი., „აღა-მაჰმადხანის თავდასხმა საქართველოზე“, თბილისი, 1969.
23. **ყურაშვილი**: – ყურაშვილი თამარ, „მოციქული სარუსეთოში“, ინტერნეტ-მისამართი: https://renomecenter.com/ka/stories/64/

24. **ჭავჭავაძე, 2007:** – ჭავჭავაძე ილია, „თხზულებანი“, XV, პუბლიცისტური წერილება (1898-1906), გამომც. „ილიას ფონდი“, თბილისი, 2007.

25. **წოწკოლაური, 2015:** – წოწკოლაური ავ., „საქართველოს ისტორია“, თბილისი, 2015.

26. **ჯამბაკურ-ორბელიანი, 1895:** – ჯამბაკურ-ორბელიანი ალ., „აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტბილისში“, გადმობეჭდილი ჟურნალ „მოამბიდან“, ტფილისი 1895.

27. **ჯამბაკურ-ორბელიანი, 1914-a:** – ჯამბაკურ-ორბელიანი ალ., „მეფის ირაკლის მეორის ცოცოტა ანბები, ანუ ზოგიერთი მაშინდელი პირნი“, – კრ.: კაკაბაძე ს., წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. I, ტფილისი, 1914.

28. **ჯამბაკურ-ორბელიანი, 1914-b:** – ჯამბაკურ-ორბელიანი ალ., „დაღისტნიდგან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები“, ტფილისი, 1914.

29. **ჯაფარიძე, 2014:** – მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, „კირიონ I“, საისტორიო-სამეცნიერო ჟურნალი „სვეტიცხოველი“, 2014, №1, გვ. 11-142.

30. **ჯიბაშვილი, 2009:** – ჯიბაშვილი ოლეგ, „რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში ქართლ-კახეთის მონაწილეობის მიზანშეწონილობის საკითხისათვის“, კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების შრომების კრებული), IV, გამომც. “შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,” ბათუმი, 2009, გვ. 92-113.

31. **ჯიბაშვილი, 2013:** – ჯიბაშვილი ოლეგ, „კრწანისის მოვლენები და „სომხური დასი“, – კრ.: „საისტორიო მაცნე“ (შრომების კრებული), XX, გამომც. “შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 2013, გვ. 307-318.

32. **ჯიბაშვილი, 2016:** – ჯიბაშვილი ოლეგ, „მკვლელობა, რომელმაც შეცვალა საქართველოს ბედი“, – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), II, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, 2016, გვ. 58-69.

33. **Ереванци С., 1958:** – Ереванци С., „Джамбр (паматная книга зерцало и сборник всех обстоятельств святого престола Эчмиадзина и окрестных монастирей)“, под ред. и предисловием П.Т.Арутюняна, М, 1958.

34. **Иоаннисян, 1945:** – Иоаннисян А., „Иосиф эмин“, Ереван, 1945.

35. **Потто, 1886: –** Потто В., „Кавказская война в отдельных очерках, епизодах и биографиях“, т. 3, СПб., 1886.

36. **https://nobility.pro/ge/statia/70-orbeliani-aleksandre-vakhtangis-dze.html**

37. **https://burusi.wordpress.com/2009/08/08/ალექსანდრე-ორბელიანი/**

38. **https://ru.wikipedia.org/wiki/Симеон_Ереванци**